საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 11 ნოემბერი. 2021 წ. №200 (9319) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გვარაზმაძეები ნანუკოზა, ანუ ნაცები ადამიანურად ვერასოდეს იაზროვნებენ!

3

მიხეილ სააკაშვილის მომდევნო სასამართლო სხდომა 29 ნოემბერს გაიმართება

მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა სასამართლო კოლეგიამ 29 ნოემბერს ჩანიშნა. სააკაშვილის დაცვის მხარე გუშინდელი სასამართლოთი უკმაყოფილოა. მათი განცხადებით, სასამართლომ დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, შუამდგომლობები კი ეხებოდა სასამართლო პროცესზე მიხეილ სააკაშვილის გადაყვანას.

რაც შეეხება პროცესს, სხდომაზე ბრალდების მხარეს დაგეგმილი ჰქონდა მტკიცებულებების გამოკვლევა, თუმცა იმის გამო, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა რამდენიმე შუამდგომლობა, მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპამდე სხდომა ვერ მივიდა. პროცესის დასასრულ, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და აღკვეთის ღონისძიების საკითხი გადასინჯა. იმის გამო, რომ სააკაშვილი უკვე იხდის სასჯელს და იმყოფება პატიმრობაში, სასამართლომ ამ საქმეზე წინასწარი პატიმრობა გააუქმა.

4

ლევან ჯავახიშვილი: „მთავარზე“ ბოლო სიტყვებით იგინებიან, არანაირი ჟურნალისტური ეთიკა და ზრდილობა არაა დაცული

კვიპროსში ახალი ქართული მონასტერი აშენდება!

კვიპროსში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი მთავარეპისკოპოს, მის უწმინდესობა ქრიზოსტომოს II-ს შეხვდა და ქართველი ხალხის, ქართული დიასპორისა და საქართველოს საპატრიარქოს სახელით მადლობა გადაუხადა საჩუქრად მიწის ნაკვეთის გადმოცემისათვის, რომელზეც ქართული მონასტერი აშენდება.

„ეს არის დიდი სულიერი საჩუქარი და მნიშვნელოვანი ჟესტი, რომელიც ჩვენი ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

როგორც მისმა უწმინდესობამ ქრიზოსტომოს II-მ შეხვედრისას აღნიშნა, საუკუნეების განმავლობაში, კვიპროსს ყოველთვის გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, რომელიც დღესაც შენარჩუნებულია და კვლავაც გაგრძელდება.

„მინდა თქვენთან შეხვედრით კურთხევა გადავცე ჩვენს მოძმე ქართველებს და ქართულ ეკლესიას“, — განაცხადა მთავარეპისკოპოსმა.

თემურ ჩალაბაშვილი – 70

პოეტური ზიხი



შენ რომ გხედავ...

თემურ ჩალაბაშვილს

შენ რომ გხედავ, აღარაფრის შიში არ მაქვს,
ქუჩის მტვერსაც ქარი უცებ მოგვის...
ამ მტკივან გულს ვარსკვლავებით მომიხატავ,
ვით გრძნეული მღვდელთმსახური – მოგვი!
შენ რომ გხედავ, მონატრებულ საქართველოს
ძველებურად აყვავებულს ვხედავ!
ვიდრე შენ ხარ, რაღამ უნდა დამაბნელოს –
ვით დაჯაბნის ჩალაბაანთ მხედარს!
შენ რომ გხედავ, მაჩაბელი მახსენდება
და ჰამლეტიც-შექსპირისეული!
დედა-ენის სისუფთავე ცას ედება
შავი მავრის უქათქათეს სულით!
შენ რომ გხედავ, ფიროსმანის სევდას ვხედავ, –
სანთლის ალით დამარცხებულ წარღვნას!
მაგ თვალებით გაიბრწყინა ცაში მზემ და
უკუღმართ დღეს ატრიალებ წაღმა!
შენ რომ გხედავ, გულში ჩუმად ვუალერსებ
ბავშვობაში წამღერებულ მოტივს...
მირონი სდის შენს ოცნებებს და შენს ლექსებს,
შენ გხედავ და.... საქართველო მოდის!

7

მზია ხეთაგური

დანაშაულის მასშტაბი ძალიან დიდია!

დავითგარეჯი

5

საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, მერებო, სწორდით!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულ მერებს შეხვდა. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მუნიციპალიტეტებს ცენტრალური მთავრობისა და მაქსიმალური პირადი მხარდაჭერა აღუთქვა, რათა ის პროექტები და ინიციატივები, რომლებზეც საუბარი იყო წინასაარჩევნო კამპანიისას და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოკლე ვადაში განხორციელდეს.

პრემიერმა არჩეულ მერებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა მზადყოფნა, პირადად ჩაერთოს ნებისმიერი საკითხის გადაჭრაში, რომელიც მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია. ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულებს მერებთან აქტიური კოორდინაცია დაავალა და მერებს მოუწოდა, მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა მაქსიმალურად იყონ ინფორმირებული მათი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ და ყველა პრობლემა მოქალაქეებს დროულად და ეფექტურად გადაუჭრან.



ნინო ლაცაბიძე: ჩვენ ერთად შევასრულებთ იმ დანაპირებს, რომელზეც ვესაუბრებოდით მოსახლეობას

პრემიერის მხრიდან არის დაპირება, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტს სხვადასხვა მიმართულებით გვერდში დაუდგება და ჩვენ ერთად აუცილებლად შევასრულებთ იმ დანაპირებს, რომელზეც ვესაუბრებოდით მოსახლეობას. ეს არის მუნიციპალიტეტის მხრიდან ძლიერი სოციალური და ჯანდაცვის სერვისები, რომელსაც განვახორციელებთ, ეს არის ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც სჭირდებათ ჩვენს ქალაქებს და სოფლებს, უკვე დაწყებულის ეფექტიანად და სწრაფად დასრულება და ძალიან მალე დავიწყებთ იმ პროექტებსაც, რომელზეც იყო საუბარი, მაგალითად რუსთავში ვაპირებთ მედიათეკის მშენებლობას, ახალი რეკრეაციული სივრცეების განვითარებას.

აუცილებელია, რომ მუნიციპალური სერვისები მოქალაქეებზე ორიენტირებული, უფრო მოქნილი, სწრაფი და ეფექტური გახდეს. სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი და მე დარწმუნებული ვარ, ამ ტიპის ფორმატი პრემიერთან ურთიერთობის გაგრძელდება, გვექნება ძალიან მჭიდრო კომუნიკაცია და ერთად შევძლებთ ჩვენი გუნდის მხრიდან გაჟღერებული თითოეული პროექტის განხორციელებას და ბოლომდე მიყვანას, — განაცხადა ლაცაბიძემ.

გიგი უგულავა: ამ ნაგვის შესახებ, ვინც ხელი აღმართა პრეზიდენტზე, უნდა იცოდნენ მისი შვილის მეზობლებმა და კლასელებმა, რომ მამა ჰყავს ჯალათი

„ნაცმოძრაობის“ წევრმა გიგი უგულავამ საქართველოს პარლამენტთან გამართულ აქციაზე განაცხადა, რომ პენიტენციური სამსახურის მე-18 სამკურნალო დაწესებულების უფროსის მოადგილე ორდენიძე ჯალათია და მისმა ოჯახმა და შვილის მეგობრებმა ამის შესახებ უნდა იცოდნენ.

„ყველა ბოძზე უნდა გამოვაკრათ ასეთი ჯალათები, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი ადამიანების ფეხქვეშ მიწა დაიწვება. იმიტომ, რომ რასაც თქვენ აკეთებთ და ამზადებთ, დაანგრევს ამ ქვეყანას, გააუბედურებს უამრავ ადამიანს“, — განაცხადა უგულავამ. მისი თქმით, ასეთი ადამიანების სახელები და გვარები, ონლაინ იქნება გამოქვეყნებული. **„აი ის ვიღაცა, „მოხვედი ჩიტო“, რომ ამბობს, აი ის ვიღაც ორდენიძე, მე ძალიან არ მიყვარს საქმეში გავრიო ოჯახი და ბავშვები, მაგრამ ამ ნაგვის შესახებ, ვინც ხელი აღმართა პრეზიდენტზე, უნდა იცოდეს, მისი შვილის მეზობლებმა და კლასელებმა, რომ მამა ჰყავს ჯალათი,“...**

სახალხო დამცველის განცხადებით დაუშვებელია პოლიტიკური ოპონირების იარაღად ბავშვების, მათი პირადი ცხოვრებისა და ოჯახური სტატუსის გამოყენება, მოგვიანებით გიგი უგულავამ საჯარო ბოდიში სოციალური ქსელის საშუალებით მოიხადა. **„კრიტიკას ვიღებ და ბოდიშს ვიხდი. დეტალებში არ შევალ. სჯობს, ეს საკითხი არ განვიხილოთ და მოჭრილად ვთქვათ, რომ ბავშვებს გავეშვათ“,** — წერს ის სოციალურ ქსელში.

ანა აბაშიძე: გიგი უგულავა ემოციებს ვერ აკონტროლებს, გააჩუმეთ ეგ კაცი, მოაშორეთ ტრიბუნას!

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ PHR ერთ-ერთი დამფუძნებელი და ბავშვთა და შშმ პირთა უფლებების ადვოკატი ანა აბაშიძე გიგი უგულავას მიერ აქციაზე გაკეთებულ განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

უფლებადამცველი პოლიტიკოსებს და მედიას ბავშვებთან მიმართებაში მეტი სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს. **„გიგი უგულავა ემოციებს ვერ აკონტროლებს ხშირად. დღეს აქციაზე დიდი სისულელე გააკეთა. ვინმე აზრიანი არა ხართ მაგის გვერდით? რას აკეთებთ, გესმით? გააჩუმეთ ეგ კაცი. მოაშორეთ ტრიბუნას! ვერ მართავს აზრებს როცა ემოციებშია. ჟურნალისტებო, ამ კაცის ოჯახს ნუ ადგებით და შვილებს ნუ იღებთ. რა ჯანდაბა ხდება. არ შეიძლება ასე რამე კარგი გამოვიდეს,“** — აცხადებს ანა აბაშიძე.

ბექა დავითულიანი: ვერც ერთი პატიმარი ვერ შეეხება!

— საპაკაშვილს აბსოლუტურად განცალკევებული დერეფანი აქვს, გარედან სრულად დაცულია, ვერავინ იქ ვერ შეაღწევს, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ბექა დავითულიანმა განაცხადა.

„პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებაა, ნებისმიერი პატიმარი და მათ შორის პატიმარი სააკაშვილი განათავსოს ისეთ პირობებში, სადაც დაცული იქნება მისი ჯანმრთელობა, მისი უსაფრთხოება და მისი უფლებები. ჯანმრთელობის დაცვის კუთხით იღებს პასუხისმგებლობას და განათავსა ისეთ კლინიკაში, რომელიც წერია რეკომენდაციაში. პატიმრების უსაფრთხოების კუთხით აბსოლუტურად განცალკევებული დერეფანი აქვს, გარედან სრულად დაცულია, ვერავინ იქ ვერ შეაღწევს იმიტომ, რომ ციხის შენობაა და დაცულია ბოლომდე. მიხეილ სააკაშვილი, რამდენადაც მე ვიცი, საერთოდ სხვა სართულზე იზოლირებულია იმიტომ, რომ სხვა პატიმრების ხმაც კი არ შეუვიდეს არა თუ შეხებაში იყოს სხვასთან. სამოქალაქო კლინიკაში რომ დაგვეწვინა და მისულიყო ორასკაციანი, მისი გამწარებული ადამიანების ჯგუფი და ეგინებინათ ფანჯრიდან, ესეც ხომ მისი წამება იქნებოდა. ციხის საავადმყოფო დაცულია და იზოლირებულია. შიგნიდანაც კი ისეთი იზოლირებულია, რომ მას ფსიქოლოგიური ტერორის შეგრძნება არ ჰქონდეს“, — განაცხადა ბექა დავითულიანმა.

...ეს კაცი გასაპარსია და პანჩურებით უნდა გააგდო ეკლესიიდან. იმ აღმაშენებელს ადარებს სააკაშვილს, რომელმაც მისგვარი ავაზაკები გაპარსა და გამოაგდო ეკლესიებიდან!



სოსო მანჯავიძე: ამდენმა ერთად შეყრილმა იდიოტმა დალუპა ეს ქვეყანა!

8-9 ნოემბრის ძრონიკებიდან: მიხეილ სააკაშვილი გლდანის №18 სამკურნალო დაწესებულებაშია გადაყვანილი. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახური გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილს არ დაუტოვებია პენიტენციური დაწესებულება მისი ნების საწინააღმდეგოდ. სააკაშვილი თავად ალაგებს პირად ნივთებს და ორი პარკით ტოვებს №12 დაწესებულებას.

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა რამდენიმე დღის წინ გაასაჯაროვა იმ პალატის კადრები, სადაც მიხეილ სააკაშვილია მოთავსებული. უწყებამ სააკაშვილის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით და მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე მიიღო. გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში სააკაშვილს შეხვდა სახალხო დამცველი, რომლის განცხადებით, ბრალდებული მკურნალობაზე უარს აცხადებს და შიმშილობას აგრძელებს.

გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში სააკაშვილის გადაყვნას პატიმრების მხრიდან ხმაური მოჰყვა. კერძოდ, ციხის ერთ-ერთი კორპუსიდან ისმოდა პატიმრების შეძახილები. პატიმრები მიხეილ სააკაშვილს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდნენ, საპასუხოდ ადგილზე მყოფმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პატიმრებს უცენზურო სიტყვებით მიმართეს. პატიმრები სააკაშვილის მიმართ პროტესტს შუქის მუდმივი ანთება-ჩაქრობითაც გამოხატავდნენ. გარდა ამისა, ციხის გარე და შიდა პერიმეტრზე საპოლიციო ძალებია მობილიზებული...

მიხეილ სააკაშვილი, მას შემდეგ, რაც გლდანის ციხის ტერიტორიაზე გადმოიყვანეს, არ უნდოდა გადმოსვლა მანქანიდან და ძალით შეიყვანეს მე-18 დაწესებულებაში. უარი თქვა ექიმის გასინჯვაზე.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა უარი განაცხადა მკურნალობის არსებით ნაწილზე, რომელიც მას უტარდებოდა. შესაბამისად, რისკი იმისა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულიყო, მზარდი შეიქმნა. ჯანმრთელობის მდგომარეობის რისკის მინიმალიზაციისა და პრევენციის გამო, იგი განთავსებულია გლდანის ნომერ მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში. **რატი ბრეგაძის** განცხადებით, ასევე გათვალისწინებული იყო უსაფრთხოების საკითხი, რომელიც, შესაბამისი უწყების ინფორმაციის მიერ იყო გაჟღერებული, რომ მოსალოდნელი იყო გარკვეული პროვოკაცია.

რაც შეეხება დაცვის მხარის განცხადებას, რომ ექს-პრეზიდენტი მოტყუებით გაიტაცეს რუსთავის მე-12 დაწესებულებიდან, მინისტრი აცხადებს, რომ დესტრუქციულ ძალებს არ ესმით არც სიმშვიდე და არც მშვიდი ენა, ამასთან რა სცენარიც არ უნდა განახორციელონ, ადეკვატური პასუხი იქნება.

სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა, სადაც ის იზოლირებულია, მას ემსახურებიან კვალიფიციური ექიმები, რა თქმა უნდა, ეს არ არის პატიმრის გატაცება და წამება, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ხდებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე **სულხან მოლაშვილი,** რომელიც ჯერ აწამეს და ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ღამის 2 საათზე მასთან საკანში მივიდა სპეცრაზმი და გაიყვანეს ციხის სამკურნალო დაწესებულებიდან, №7 დაწესებულების სარდაფში, სადაც 2 კვირის განმავლობაში არ ჰქონდა საწოლი, სკამი, მათ შორის შუქი და რაც ყველაზე მთავარია, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მოლაშვილი წყალში იდგა.

გატაცება როგორ არის? ალბათ, დასჭირდა სამედიცინო ჩარევა და გადაიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში. მიხეილ სააკაშვილს პატივი დადეს. სამწუხაროდ, ასეთი პატივის ღირსი არ იყვნენ პატიმრები სააკაშვილის მმართველობის დროს. მაგალითად, ჩემი ძმა, სულხანი რამდენჯერმე ღამის 2 საათზე, გამთენიისას 4 საათზე ციხიდან ციხეზე გადაჰყავდათ ისე, რომ მთელი დღე ვეძებდით და მერე დავადგენდით რომელ ციხეში ჰყავდათ, ამის მერე ისევ გაიყვანდნენ და ასე ვეძებდით. ეს იყო გატაცება. ყოველ კვირა ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ.

დარწმუნებილი ვარ, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ გადაჰყავდათ. სულხანიმ არ იცოდა, სად გადაჰყავდათ, ციხეში, თუ დასახვრეტად გადაჰყავდათ. ღამის 2 საათზე ციხის საავადმყოფოდან გაიყვანეს, გადაიყვანეს მე-7 დაწესებულების სარდაფში. რამდენიმე კვირა ფეხზე იდგა, არ ჰქონდა არც საწოლი და არც სკამი. ვერ იმართებოდა, იმიტომ, რომ შეასახლეს ისეთ ადგილას, რომელიც იყო საკმაოდ დაბალი, უმძიმეს მდგომარეობაში ამყოფებდნენ. ჯურღმულში ჰყავდათ სულხანი. წარმოიდგინეთ, არც გვეუბნებოდნენ სად ჰყავდათ, გვიმალავდნენ. 16 დღის განმავლობაში შუქი არ ჰქონდა, წყალი იდგა საკანში.

იხ. 11 გვ.

გვარაზმატული ნანუკობა,

ანუ ნაცები ადამიანურად ვერასოდეს იაზროვნებენ!

ყოველგვარი შესავლის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ ნაცებმა თავისას მიაღწიეს.

დიახ, ზუსტადაც რომ მიაღწიეს იმ თვალსაზრისით, რომ უკვე რამდენიმე თვეა, მუდმივი სტრესის და დაძაბულობის ძვეშ აცხოვრებენ სრულიად საქართველოს.

არ მითხრათ ახლა, რომ მათს აქციებზე მხოლოდ 200 კაცი გამოდის. არ მითხრათ, რომ მათი ტელევიზიები მხოლოდ ფეიკს ავრცელებენ. არ მითხრათ, რომ რევოლუციას ვერ მოახდენენ!!!

უკაცრავად, რა!

მაინცდამაინც გილიოტინა უნდა იდგეს თავისუფლების მოედანზე, რომ ვთქვათ, რევოლუცია მოხდაო?

მაინცდამაინც 500000 კაცი უნდა დადგეს რუსთაველზე, რომ ვთქვათ, აქცია ჩატარდაო?

რაში სჭირდებათ?

მთელი ქვეყანა იმ დღის წესრიგით ცხოვრობს, რასაც სააკაშვილი და გვარამია აანონსებენ!

ვბრაზდებით ნოდარიკო მელაძის იდიოტურ დიქციაზე და ყალბ სიუჟეტებზე, ვაგინებთ გუბაზას, დავცინით მრავალათასიანი აქციის ნაცვლად რუსთაველზე მისულ რამდენიმე კინკილა ადამიანს. გვიხარია რომ არჩევნების მეორე (მეორე!!!) ტურში ანზორ მელიამ წააგო და ეს არის ჩვენი ცხოვრება...

შევლენ პარლამენტში, თუ არა?!

ხელს მოაწერენ, თუ არა?!

დიდი შეკრება ექნებათ, თუ არა?!

მოკლავენ ვინმეს, თუ არა?!

ჭამს, თუ არა.

სამოქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანენ, თუ არა.

სახალხო დამცველი მორიგ სისულელეს იტყვის, თუ არა?!

ვიღაც უცხოელი პენსიონერი ჩვენს ხელისუფლებას წერილს გამოუგზავნის, თუ არა?!

ამასობაში ცხოვრება გადის.

ტელევიზიებს კამერები არ ჰყოფნით, რომ სხვა რამ გააშუქონ.

ფეხით შემოვედი ქუჩაზე და კორპუსებს რომ ავხედე, მივხვდი - მცხოვრებთა 5/6-ს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია პოლიციელებმა რუსთავის მე-12-სთან ვიღაც ანგაჟირებულ ტიპს შეურაცხყოფა მიაყენეს, თუ კანონიერად იმოქმედეს.

ფეხებზე ჰკიდია,მაგრამ ამით ცხოვრობს.

ცხოვრობს იმიტომ რომ ყველგან, სახლში, ტრანსპორტში, სამსახურში, მაღაზიაში, კაფეში, გამორთულ უთოშიც კი ისმის – **ოპოზიციის ლიდერები. მელიამ სამოძმედო გეგმა გაასაჯაროვა. მოპოვებულია უტყუარი ინფორმაცია და მსგავსი საშინელებანი...**

ამ მარაზმს, არავის ვაბრალებ.

არავის!

მეც მაქვს ჩემი წვლილი, მაგრამ ასე ცხოვრება შეუძლებელია.

არც რეცეპტი მაქვს, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან.

ერთი კი ვიცი ზუსტად – ჩვენ ნაცების დღის წესრიგით ვცხოვრობთ.

არავინ მითხრათ არც ის, რომ პოლიტიკაში არ ვერევიო და არც ის, ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებო.

თუ ამ წერილს კითხულობ, ე.ი. ჩართულიც ხარ, უყურებ და შენც მათი დღის წესრიგით ცხოვრობ.

ისინი კი იკრიბებიან და ახალ შეკრებას აანონსებენ. მერე ისევ იკრიბებიან და ისევ აანონსებენ და ასე გრძელდება უაზროდ.

დიახ, სწორედაც რომ უაზროდ, რადგანაც არანაირი შედეგი იმის გარდა, რომ შეკრებაზე ახალი შეკრება დააანონსეს, არ არსებობს.

კი, რა თქმა უნდა, ზოგი „მაღალი რანგის“ მიშისტი ციხესთანაც მიდის, რაღაც სისულელეს აკეთებს და თავიანთ ტვ-ებს „კომენტარს“ აძლევს. რა თქმა უნდა, შემდეგ ახლობლებს ეკითხება – აბა,როგორი ვიყავიო. ისინიც „აღფრთოვანებულნი“ ეუბნებიან – შესანიშნავი! აუუ, კიდე როდის იქნებიო.

მოკლედ, „ნანუკობენ“ რა.

ამ დროს მიშა ზის თავისთვის, უყურებს ტელევიზორს, ჭამს ფაფებს და შეჰ ყურებს ლიზა იაცკოს ფოტოს.

სუფთა „ნანუკობაა“ ნაცების ეს „აქციები“.

„გვარაზმატული“ „ნანუკობა“ და მეტი არაფერი.

სრული თავხედობაა ის, რომ ცდილობენ თავიანთი მახინჯი პრიზმიდან დაგვანახონ ის, რასაც საკუთარი თვალით ვხედავთ და ზუსტად ვიცით სიმართლე.

სააკაშვილი – რაც ჩემს მიმართ გამოიყენება, ეს არის კლასიკური წამება.

ვინც იცის ნაცების ხედვა ადამიანობაზე, საქართველოზე, იცის მათი მორალი, ცხადია, მათთვის სეფისკვერი წამებაა. მათთვის ქვეყნის განვითარება და სიმშვიდე წამებაა. მათთვის წარსულის შეხსენება წამებაა.

ცხადია, მათთვის ხბოს ღვიძლი ბოსტნეულში, საკვები არ არის.

სააკაშვილი – მე ვიცი, რას დავუპირისპირდი – ბოროტებას, აშკარა ბოროტებაა, როცა სხვას უსურვებ სიკვდილს.

ცხადია იმ ადამიანისთვის, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებისთვის „ტყვიები არ ენანებოდა“, ნორმალური, მშვიდი ცხოვრება წამებაა.

მაპატიეთ ამ მშრალი ნიჰილიზმისთვის, მაგრამ ვიცი, რომ ისინი ადამიანურად ვეღარასდროს იაზროვნებენ.

რატომ უნდა იყოს საჭირო იმის ახსნა, რომ სააკაშვილი ძალით არავის წაუყვანია?

რატომ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ სააკაშვილზე ძალადობა არ განხორციელებულა?

ნუთუ გვარამიას კრიახი, ტვ პირველის კივილი და ლომჯარიას გამოთაყვანებული სიფათი და რიტორიკა წყვეტს ყველაფერს?

თავისუფლების მოედანზე „სასწაული“ აქცია ჩატარდა.

800000 ვიქნებითო, ესაო, ისაო...

კარგით, რა�ა!

რაც არ უნდა აღგზნებული ტონით ილაპარაკოს დიანა ტრაპაიძემ, ვერ გადააქცევს 200 ადამიანს 800000-ად.

კიდევ ჩავატარებთო!

და რას იზამენ?

იმას, რაც ამ ორიოდე დღის წინათ ქვეს:

კანცელარიას წრე დაარტყეს.

მერე რა?

გლდანშიც არ წავიდნენ!

გესმით ხალხო?

იმის ნაცვლად, რომ გლდანის ციხესთან მისულიყვნენ, იქვე „იტასავეს“!

არა, რაა, ამაზე სერიოზულად მსჯელობა სისულელეა.

რატომ უნდა იყოს სახელმწიფო დამნაშავე იმ იდიოტების წინაშე, ვისაც საკუთარი თვალების კი არა, ზემოთ ჩამოთვლილი მარაზმის სჯერა?

ირაკლი კობახიძე – მიხეილ სააკაშვილი არის ერთ-ერთი პატიმარი. მეტიც, სააკაშვილი არის პატიმარი, რომელსაც სხვა პატიმრებზე ბევრად უფრო მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი საკუთარი ქვეყნის, ხალხისა და ცალკეული მოქალაქეების წინაშე – ეს არის, შეგახსენებთ, ადამიანების წამება, არაადამიანური მოპყრობა, ღირსების შელახვა, მკვლელობა, ბიზნესის რეკეტი, ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტის ჩაბარება და მრავალი სხვა. შესაბამისად, სახელმწიფო მას მოეპყრობა ადამიანის უფლებების სტანდარტების მიხედვით...

სრულიად ვეთანხმები და ის მარაზმი, რასაც ნაცტელევიზიები ცხვირში გვჩრიან, არის რეალობის მათი დამახინჯებული პრიზმიდან დანახვა.

ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილმა შექმნა სისტემა, რომელიც ადამიანებს ქუჩაში ხოცავდა, რომელიც ზღვაში ყრიდა, რომელიც ქვეყნის ტერიტორიებს კარგავდა.

სწორედ ამიტომ „ყველა ძალიან მალე შეეგუება, რომ მიხეილ სააკაშვილს ბოლომდე მოუწევს სასჯელის მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

მე პირადად ამ ქვეყნის შვილი ვარ (შეიძლება გერი, მაგრამ ჩემია) და არანაირად არ მინდა ამ წუნკლების ნათქვამზე იყოს დამოკიდებული ჩემი ხვალინდელი დღე.

დიახ, გერი ვარ, მაგრამ ეს სახლი მიყვარს.

მიყვარს ისეთი, როგორიც არის. შპალერჩამოხეული, ორ ლამაზ ოთახში შემოჭრილი ლოთი მეზობლით, ალაგ-ალაგ აყრილი იატაკით, მაგრამ კედლების რემონტი უკვე დავიწყე. პარკეტიც ნაყიდი მაქვს. იმ ლოთსაც მივხედავ.

კი ბატონო, გერი ვარ (ყოველ შემთხვევაში, მშობელი ასე მთვლის და იმას, ვინც სახლი დაფხაჭნა, ვინც ის მეზობელი შემოუშვა, ალადიკებს უცხობს, მაშინ როცა ჩემთვის ცივი მჭადიც არ ემეტება, მაგრამ ჩემი მოსავლელია და აი იმას, ვისაც ერთი სული აქვს სახლი გაყიდოს, ან დაალომბარდოს, არ ვაჯეჯილებ.

აღარ ვაბლატავებ იმიტომ, რომ გავიზარდე. შრომაში კუნთები დამებერა, ძალა მომემატა. ბევრი რამ ვისწავლე და თუ ჭკუით არ იქნება, საკადრის პასუხს გავცემ.

აღარ დავეკითხები იმ „მშობელს“ რომელმაც წუნკალი აბლატავა. მე თვითონ გავუტეხავ თავს და მე თვითონ ვუმკურნალებ!..

გია გაბრიჭიძე

ვაჟა სირაძე: სადაც აქციის მონაწილეები გასცდნენ მშვიდობიანი მანიფესტაციის ფარგლებს, პოლიციამ მიიღო კანონით გათვალისწინებული ზომები

„როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, თბილისში სხვადასხვა ადგილებზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები, რაც გულისხმობდა მათი განცხადებით, სახელმწიფო დაწესებულებების შენობების პიკეტირებას. იმ ადგილებში, სადაც აქციის მონაწილეები გასცდნენ მშვიდობიანი მანიფესტაციის ფარგლებს და იქ, სადაც მოახდინეს სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლელების ბლოკირება, პოლიციამ მიიღო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები. როგორც მოგეხსენებათ, შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონით, აკრძალულია სახელმწიფო დაწესებულების შესასვლელის ბლოკირება, შესაბამისად, ჩვენ მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს, რომ ეს არის კანონის დარღვევა, ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს სახელმწიფო უსაფრთხოების შენობასთან არსებულ ვითარებაზე. მოვუწოდეთ, რომ გადასულიყვნენ და არ გაეგრძელებინათ კანონის დარღვევა. ამ დროისათვის დაკავებულია 46 პირი ადმინისტრაციულად, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის. ასევე, პოლიციისადმი შეურაცხყოფის მიყენებისთვის და წვრილმანი ხულიგნობისათვის. ასევე გზის მეორე მხარეს აგრძელებდნენ დაუმორჩილებლობას და შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციელებს“, – განაცხადა ვაჟა სირაძემ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ შეგახსენებთ: 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებიდან 14 წელი გავიდა. 14 წლის წინ ამ დღეს, გამთენიისას სამართალდამცველებმა თავისუფლების მოედანზე მცირერიცხოვანი აქციის დარბევა დაიწყეს. ამის მიუხედავად, მოქალაქეები რუსთაველის გამზირზე შეკრებას აგრძელებდნენ. ვითარების დაძაბვიდან მალევე სპეცდანიშნულების რაზმი გამოჩნდა. სამართალდამცავებმა მომიტინგეები წყლის ჭავლით, რეზინის ტყვიებით და ხელკეტებით დაარბიეს. ადგილზე ვითარებას „ნაციონალური მოძრაობის“ მაშინდელი ლიდერები აკონტროლებდნენ.

დღის მეორე ნახევარში აქციის მონაწილეებმა რიყეზე გადაინაცვლეს, პარალელურად, შსს-მ ოპოზიციური ლიდერების სატელეფონო საუბრები გამოაქვეყნა. ჩანაწერების გავრცელებიდან მალევე კი რიყის აქციის დარბევა დაიწყო. 2007 წლის 7 ნოემბერს, დღის ბოლოს, სპეცრაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა. დალეწეს აპარატურა, გაითიშა არხის სამაუწყებლო სიგნალი. დარბევის და ტელეკომპანიის ხელში ჩაგდების შემდეგ, არხმა მაუწყებლობა რამდენიმე თვით შეაჩერა, ამის შემდეგ კი 15 დღით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

აღნიშნულ საქმეზე 30 დღეზე მეტია, ქართულ ციხეში ექსპრეზიდენტი და უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი იხდის სასჯელს, რომელიც შიმშილობს და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

რა შეცვალა 7-მა ნოემბერმა ქართულ ჟურნალისტიკაში და რა ფასეულობებზე დგას დღევანდელი მედია, რატომ დაივიწყეს 7 ნოემბრის დარბევის აქციებში მონაწილეებმა ეს დღე, ამ კითხვას „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების წამყვანი ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ პასუხობს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲖᲔ“ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲗᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ

ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ?!“

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ: 7 ნოემბერს რა და როგორ მოხდა, ყველამ კარგად იცის და ამის ამსახველი კადრები ინტერნეტშიც იძებნება. მთავარი ის არაა, რაც ვნახეთ, მთავარი ის არის, რაც ვერ ვნახეთ – ის, რაც ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება, არ მომხდარა. გვინახია სხვა ქვეყნებშიც აქციების დაშლა, მაგრამ 7 ნოემბერს პირდაპირ ანგარიშსწორება განხორციელდა. რუსთაველის გამზირზე, სადაც 40-მდე მოშიმშილე იყო, დილაადრიან თავს დაესხნენ რეჟიმის წარმომადგენლები, ყვითელლაბადიანი ვითომ პოლიციელები, ანუ ე.წ. სპეცდანიშნულების რაზმი. შემდეგ, შეტევის დაგვირგვინება იყო „იმედში“ შემოვარდნა და ჟურნალისტებზე ანგარიშსწორება. პირადად მე, ამერიკის საელჩომდე მსდიეს. ამას არც ერთი ნორმალური სამართალდამცველი უწყება არ აკეთებს. პირდაპირი ბრძანება იყო გაცემული „მოშიმშილე“ სააკაშვილის მიერ, რომ სამაგალითოდ დასჯილიყო ქართველი ერი და შემდეგ ანგარიშსწორება მოეხდინათ ჟურნალისტების მიმართ, იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმი უამრავ დანაშაულში პირდაპირ ამხილეს.

– დარბევის შემდეგ, ის რაც კადრებში ვერ მოხვდა, რა იყო და როგორ განვითარდა მოვლენები?

– „იმედის“ ჟურნალისტებზე შანტაჟი მიმდინარეობდა. იმ დროს არ იყო სმარტფონები და სახლის ტელეფონზე გაურკვეველი პიროვნება მირეკავდა და მეუბნებოდა – „მჟავე გინდა?“ თავიდან მეგონა, რომ სხვაგან ხვდებოდა და მწნილზე იყო საუბარი. შემდეგ ეს ზარები იგივე ტექსტით არ წყდებოდა. თუ ოჯახის წევრები იღებდნენ ყურმილს, მე მკითხულობდნენ, შემდეგ მივხვდი, რომ მემუქრებოდნენ: „ისე გცემთ, რომ კუჭის წვენს ამოგიღებთ“. კარგად ვიცით, ცემით რა ზომამდე მიჰყავდათ ხალხი – გავიხსენოთ კობა დავითაშვილი და ვალერი გელაშვილი. შანტაჟი, დაშინება და ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ, ადამიანზე ზეწოლა მოეხდინათ და მორალურად გაეტეხათ.

– თუმცა, 14 წლის წინ უშუალოდ მოქმედ პირებს აღნიშნული დღე აღარ ახსოვთ და აქციებს მართავენ. როგორ ფიქრობთ, რატომ სურთ, მიივიწყონ ის დღე, როდესაც სასტიკი ძალადობა მოხდა მოქალაქეებზე და მედიაზე?

– ზოგადად, ადამიანის ფსიქოლოგიაა ასეთი, როდესაც რაღაც დანაშაულს სჩადიხარ, შემდეგ გინდა, რომ ეს დანაშაული დაივიწყო. ზუსტად ასე ცდილობენ, საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული დაივიწყონ. თუმცა, ასე არ გამოდის, რადგან ხალხს ახსოვს და ყოველთვის ემახსოვრება. ეს უნდა გვახსოვდეს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

– დღეს საუბარი მიდის, რომ მედიაზე ზეწოლა კვლავ არის. როგორ გგონიათ, მედია თავისუფალია?

– ჩემი სუბიექტური აზრია, რომ საქართველოს ისტორიაში ისეთი დემოკრატიული და ყველაზე თავისუფალი მედია არასოდეს ყოფილა, როგორიც დღეს არის. თავისუფლებაში რას ვგულისხმობ? – იმას, რომ რასაც უნდათ, იმას ამბობენ. გადავრთავთ „მთავარზე“ და ბოლო სიტყვებით იგინებიან და ამისთვის სახელმწიფო პასუხს არ სთხოვს. ანუ სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი სიტყვის გამოხატვა ამ ქვეყანაში აბსოლუტურად დაცულია. რასაც უნდა, იმას ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ თან ისე, რომ არანაირი ჟურნალისტური ეთიკა არაა დაცული, არანაირი ზრდილობა არაა დაცული. ვის უნდა ჰქონდეს პრეტენზია სიტყვის თავისუფლებაზე და ვინ ამბობს, რომ გამოხატვის თავისუფლება დაცული არ არის?! ამას ამბობენ უნამუსო ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, რომ შექმნან საკუთარი სანდრო გირგვლიანი, პარალელი გაავლონ და საკუთარი დანაშაული გადაფარონ. შექმნან საკუთარი 7 ნოემბერი, რომ რამენაირად იქნებ ხელისუფლებას იგივე გაამეორებინონ. რეალურად, ცდილობენ ხელისუფლებას ისეთი რაღაც გააკეთებინონ, რასაც თავად აკეთებდნენ. ეს არის რადიკალების მიზანი, რომლებიც პოლიტიკური ცხოველები არიან და ძალაუფლების გარეშე არ შეუძლიათ, არ შეუძლიათ ადამიანების გაუპატიურების გარეშე ცხოვრება. ეს არის მათი ფსიქოლოგიური პორტრეტი. მათი მიზანია, რამენაირად ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, მაგრამ მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, ვამბობ, რომ ეს არ მოხდება.

– 14 წლის შემდეგ აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სასჯელს იხდის. შეიძლება ითქვას, რომ დღეს „იმედის“ჟურნალისტებმა გამარჯვებას მიაღწიეთ?

– მიხეილ სააკაშვილს რომ დანაშაული მიუძღვის, ამაში დარწმუნებული ვარ. მსგავს ოპერაციას, მაშინდელი პრეზიდენტის გარეშე, ვერავინ განახორციელებდა. დანარჩენი კიდევ, ვინ არიან დამნაშავეები, ამას გამოძიება იტყვის. რაც შეგვეხება ჩვენ, ჟურნალისტებს, დავიკითხეთ და პროკურატურის მიერ დაზარალებულად ვართ ცნობილი.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲥᲔᲗᲘ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲡ“ ეჩვენებათ, რომ სააკაშვილის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება საერთო ეროვნულ დეპრესიას და უიმედობას გამოიწვევს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დიაგნოზი დასვა ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ. მას არც ყოფილი დეპუტატი ᲓᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ჩამორჩა და კიდევ უფრო შორს წასული განცხადება გააკეთა – „თუ მიშა წავა, ჩემი ერი მოკვდება“!.. თუმცა დარჩიაშვილი მიშასთან მიმართებით სასწაულებს ისევ ელის და მიშას გარეშე მექანიკურ ცხოვრებას არ ეგუება.

რისთვის სჭირდებათ „ნაციონალებს“ მოვლენების ჰიპერბოლიზაცია სააკაშვილის ჭრილში და რატომ ლაპარაკობენ მთელი ერის სახელით ექსპრეზიდენტთან მიმართებით? იწვევს თუ არა სააკაშვილი საერთო ეროვნულ დეპრესიას?

ანალიტიკოსი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** აცხადებს, რომ სამადაშვილის და დარჩიაშვილის განცხადებები ბოროტი აჟიოტაჟის გამოსაწვევადაა მიმართული. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი აურზაური შეიქმნას სააკაშვილის გარშემო. მათ სხვა მიზანი არ აქვთ.

ანალიტიკოსის აზრით, ასეთი ხმამაღალი განცხადებებით შეიძლება, ვინმე უბირი ხალხი მოატყუონ, მაგრამ რეალურად თვითონ სამადაშვილმაც და დარჩიაშვილმაც მშვენივრად იციან, რომ არავითარი საფრთხე სააკაშვილის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს არ ემუქრება. მისი შიმშილობაც იმიტაციურია, ის ყველა საჭირო ნივთიერებას იღებს, რაც საჭიროა მისი სასიცოცხლო ფუნქციებისთვის.

„შეიძლება, წონაში დაიკლო, რადგან შეზღუდული აქვს საკვების მიღება და ეს დისკომფორტია, ეს არის გარკვეული ტიპის შიმშილობა, მაგრამ ეს არ არის ისეთი ტიპის შიმშილობა, რომელიც მის სიცოცხლეს განსაკუთრებულ საფრთხეს შეუქმნის. ცხადია, დისკომფორტს შეიქმნის საკუთარი თავისთვის, მაგრამ იმდენადაა შეპყრობილი ძალაუფლების ვნებით, რომ ჭამა კი უყვარს, მაგრამ ჭამის სიამოვნებას თმობს“, – გვითხრა დავით ზარდიაშვილმა.

კონსტიტუციონალისტი **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ რთულია საუბარი, რას ნიშნავს საერთო ეროვნული დეპრესია. მისი განმარტებით, ზოგადად, დეპრესია ეს არის ადამიანის ნების დაქვეითება-დაკნინება. გარკვეულ სოციალურ ძვრებს რომ გამოიწვევს სააკაშვილის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, ამაში საკვირველი არაფერია.

„ცხადია, სააკაშვილის მდგომარეობის დამძიმება სოციალურ ძვრებს გამოიწვევს, მე ამაში ეჭვი არ მეპარება. ამისთვის არ არის საჭირო, იყო კონსტიტუციონალისტი ან პოლიტოლოგი. მიშას ჰყავს თავისი მომხრეები და მათთვის ეს ძალიან დიდი დანაკარგი იქნება, თუკი საუბარია ფატალურ შედეგზე. ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ ფსიქოლოგიურ გავლენას საზოგადოების ყველა ფენაზე მოახდენს. ეს გავლენა სხვადასხვაგვარი იქნება, ზოგიერთს შეიძლება გაუხარდეს კიდეც მისეილ სააკაშვილის ცუდად ყოფნა, ასეთებიც არიან ჩვენს საზოგადოებაში, რომელთაც სხვისი უბედურება და სიკვდილი უხარიათ, ზოგიერთებმა კი შეიძლება ძალიან მძიმედ აღიქვან ეს მოვლენა. ზოგადად, საერთო ეროვნულ დეპრესიაზე საუბარი სააკაშვილის შიმშილობის შეფასებისას შეიძლება ცოტა გადაჭარბებულიცაა“, – აღნიშნა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

დავითგარეჯი: დანაშაულის მასშტაბი ძალიან დიდია!

რამაზ საყვარელიძე:

სააკაშვილმა თავისი პირით თქვა: სტრატეგიული სიმაღლეები გადავეცი აზერბაიჯანსო!

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლები უმძიმეს დანაშაულებთან ასოცირდება. ყველაფერი დაიწყო 2004 წლის აგვისტოში, როდესაც ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები დაიწყო, შედეგადაც ქართულმა მხარემ 16 მებრძოლი დაკარგა. შემდეგ შეიქმნა ახალგორის ადმინისტრაციული მთავრობა. პარალელურად, კოდორის ხეობას გადაერქვა სახელი და დაერქვა ზემო აფხაზეთი. ამის შედეგად მივიღეთ 2008 წელი, რასაც მოჰყვა ტერიორიების 20%-ის ოკუპაცია, მაგრამ მანამდე იყო 2007 წელი, როდესაც სააკაშვილმა მიიღო უმძიმესი გადაწყვეტილება და სტრატეგიულ სიმაღლეებთან ერთად, სასაზღვრო მონაკვეთი აზერბაიჯანულ მხარეს აღმოჩნდა. დღეს ეს ადამიანი პატიმარია, მისი მხარდამჭერები ამბობენ, რომ მესამე პრეზიდენტი ციხიდან უნდა გაანთავისუფლონ. მხოლოდ ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ექსპრეზიდენტი სად უნდა იყოს – ციხეში თუ თავისუფლებაზე?

რამაზ საყვარელიძე: რთული საქმეა, ისევე როგორც ყველა ის საქმე, რომელიც იმ წლებში საგარეო სიბრტყეზე გადიოდა და როგორც წესი, წამგებიანად მთავრდებოდა საქართველოსთვის. როგორც წესი, ვკარგავდით ტერიტორიებს და ადამიანების სიცოცხლეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ტერიტორიების დაკარგვის გარდა, კულტურულ მემკვიდრეობის წინააღმდეგ იქნა ხელი აღმართული.

ის, რომ დავითგარეჯის საქმე ილიჩოვას და მელაშვილის დონე არ არის, მელაშვილის საქციელით ჩანს, რომელიც აქტიურად ჩაერთო „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ საქმიანობაში და ფიგურირებს როგორც პარტიის წევრი. სავარაუდოა, რომ მისი ურთიერთობა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ახლა არ არის დაწყებული და დასაბამს იღებს იმ პერიოდიდან, რომელიც თქვენს კითხვაში აღნიშნეთ. რასთან გვაქვს საქმე, ამის თქმა ძნელია, რადგან ფრჩხილები ბოლომდე არ არის გახსნილი.

იხ. 6 გვ.

როგორ აღმოჩნდა დავითგარეჯის სასაზღვრო მონაკვეთი 2006-2007 წლებში, აზერბაიჯანის მხარეს? რატომ შეცვალა საზღვრების დამდგენმა კომისიამ პოზიცია და რატომ აღარ გახდა მთავარი სახელმძღვანელო 1938 წლის რუკა, რომელიც მონასტრის სადავო მონაკვეთებს საქართველოს ტერიტორიაზე აქცევდა? – ეს არის მთავარი კითხვები, რაზეც პატიმარ მიხეილ სააკაშვილს პასუხის გაცემა მოუწევს.

როგორც ცნობილია, დავით გარეჯის საქმეზე სააკაშვილს გამოკითხავენ. გამოძიების მთავარი აქცენტი გადატანილია დავალების გამცემ პირებზე. კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით, მტკიცებულებები უკვე არსებობს.

დავითგარეჯის საქმეზე ამ ეტაპზე ჯერჯერობით ბრალდებულები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა არიან. მათ ბრალად ედებათ საქართველოს ტერიტორიების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. პროკურატურამ ფარული ჩა-

ნაწერი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებით მოქმედებდნენ. ვისი დავალებით მოქმედებდნენ ბრალდებულები? – ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

„3+3 ფორმატი“ და კრემლის იმედები!

ინტერვიუ საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან

რეგიონული თანამშრომლობის „3+3“ ფორმატთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანის ამასწინანდელ განცხადებას საექსპერტო წრეებში დიდი ვნებათაღელვა და მეტიც, სერიოზული შეშფოთება მოჰყვა. მართალია, მოგვიანებით მინისტრმა განმარტა, „არასწორად გამიგესო“, მაგრამ ბუნდოვანი რჩება, თუ არა „3+3“ პლატფორმა?! მაშ, რომელ რეგიონულ პროექტებს გულისხმობდა საქართველოს მთავარი დიპლომატი?! ამას დროში დაემთხვა მისი რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის განცხადებაც იმის შესახებ, რომ მოსკოვი „კვლავ ინარჩუნებს იმედს“ პროექტში საქართველოს ჩართვის თაობაზე. რა აძლევს ლავროვს ამ იმედის საფუძველს? კონკრეტულად რომელ პროექტებს გულისხმობდა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი? ინარჩუნებს თუ არა თბილისი საწყის ეტაპზე გამოთქმულ პოზიციას რუსეთთან ერთობლივ ფორმატებში ჩაბმის კატეგორიული მიუღებლობის თაობაზე? – ამ და სხვა საკითხებზე „აქცენტი“ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ სამხარაძეს ესაუბრა.

ნიკოლოზ სამხარაძე: შემიძლია, ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, რომ საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას „3+3“ ფორმატში, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ იქნება აღდგენილი. ეს არის ძალიან მკაფიო პოზიცია. ჩვენთვის მიუღებელია თანამშრომლობა იმ ფორმატებში, რომლებშიც რუსეთი იქნება წარმოდგენილი და სადაც ეს **(ტერიტორიული მთლიანობის – რედ.)** საკითხი არ იქნება განხილული. მოგეხსენებათ, კონფლიქტები ჟენევის მოლაპარაკებების თემაა, იქ ვსაუბრობთ რუსეთთან ამ საკითხზე. აქედან გამომდინარე, ქვეყანასთან, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სხვა ფორმატში თანამშრომლობა ჩვენთვის წარმოუდგენელი და მიუღებელია. რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და ყველა სხვა ქვეყანასთან, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს აღიარებს. თუ რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, რა თქმა უნდა, მზად ვიქნებით ყველანაირი თანამშრომლობისა და ურთიერთობების ნორმალიზებისთვის რუსეთთანაც.

– რაც შეეხება დავით ზალკალიანის განცხადებას: შეგიძლიათ, გვითხრათ, რას გულისხმობდა მინისტრი რეგიონულ პროექტებში?

– ეს არის სატრანსპორტო პროექტები და სატრანსპორტო დერეფნები...

– ამჟამად არსებული? მაგალითად, ბაქო-ბილისი-ყარსის რკინიგზა?

– რა თქმა უნდა, ეს არის ის სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც უკვე ფუნქციონირებს. შესაძლოა, ამას მომავალში დაემატოს ახალი მარშრუტებიც, თუმცა აქ არანაირად არ არის საუბარი რომელიმე ისეთ პროექტზე, რომელიც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო იქნება.

– მათ შორის საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი?

– დიახ, მათ შორის აფხაზეთის რკინიგზა.

– ახალი შესაძლო მარშრუტები ახსენეთ და აქ რაზეა საუბარი?

– იგივე საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის სამკუთხედშიც შეიძლება, ასეთი რამ მოხდეს.

– იყო საუბარი, რომ ირანი და სომხეთი საქართველოს მიმართულებით ახალ მარშრუტს განიხილავენ...

– საქართველო-სომხეთ-ირანის მარშრუტი ისედაც არსებობს. თუ ახალზეა საუბარი, ეს იქნება ირანსა და სომხეთს შორის მარშრუტზე, რადგან საქართველოსა და სომხეთს შორის ახალი მარშრუტი ფაქტობრივად წარმოუდგენელია: როგორც ვთქვი, ისედაც არსებობს.

– რაც შეეხება საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანს, აქ რას გულისხმობთ?

– თუ ამისთვის ვითარება მომწიფდა (თუმცა ამაზე ჯერ ნაადრევია საუბარი), შესაძლოა, სამმხრივ სავაჭრო სივრცეზე ვისაუბროთ. ბევრი ეკონომიკური პროექტი შეიძლება, გაკეთდეს, თუ, რა თქმა უნდა, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ვითარება ნორმალიზდება.

– ამის რაიმე კონტურები არსებობს, თუ ახლა თეორიულად ვსაუბრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თეორიაა, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არ იქნება მშვიდობიანი ურთიერთობა.

– კვლავ „3+3“ ფორმატს რომ დავუბრუნდეთ, იცით, რომ სერგეი ლავროვმა რამდენჯერმე გამოთქვა იმედი, რომ საქართველოც ჩაერთვება პროექტში. ამასთან, თუ თურქულ მედიას ვენდობით, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველოს ამ პროექტის მიმართ „მცირედი“ მიუღებლობა აქვსო. რის საფუძველზე კეთდება მათი მხრიდან მსგავსი განცხადებები?

– რუსეთის მხრიდან ამის გაჟღერება ახალი არ არის. რუსეთს სურს, არსებული სტატუს-კვოც შეინარჩუნოს და საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობებიც ჰქონდეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მიუღებელია. ეს განცხადებებიც სწორედ ამას ემსახურება. მოსკოვშიც კარგად იციან, რომ ამ ურთიერთობების ნორმალიზების გასაღები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციაშია. ვიდრე ეს არ მოხდება, ნორმალიზება და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ვერ მოხდება.

– ვიცით, რომ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები „3+3“ ფორმატს მხარს არ უჭერენ. მათი ეს პოზიცია საჯაროდ ძალიან მკაფიოდ გაჟღერდა. მათ შორის, ჩვენთვის მოცემულ კომენტარში სახელმწიფო დეპარტამენტმა მხარი დაუჭირა კავკასიის სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის იდეას, რისი მცდელობაც ჩვენი მხრიდან არის, თუმცა არ ვიცით, რამდენად განვითარდება ამ მიმართულებით პროცესები. ამერიკელი მაღალჩინოსნების ვიზიტისას ამ თემებზე საუბარი იყო?

– დიახ, საუბარი იყო რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ქართულ–ამერიკულ ძალიან მჭიდრო თანამშრომლობაზე სწორედ უსაფრთხოების კუთხით. ასევე იყო საუბარი მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრმა წარმოადგინა და მას აშშ უპირობოდ უჭერს მხარს.

– გვესმის, რომ რუსეთს პროექტთან მიმართებაში საკუთარი ინტერესები აქვს. თქვენც ბრძანეთ, რაში სჭირდება მას პროექტში, მათ შორის, საქართველოს ჩართვა. არის წნეხის მოლოდინი? და ასეთ შემთხვევაში თავის დაცვის რა მექანიზმები გვაქვს ჩვენ?

– რუსეთს წნეხის ბერკეტი გამოყენებული აქვს (ოკუპაცია – რედ.) და არ მგონია, კიდევ რამე წნეხი გამოიყენოს. მათ კარგად ესმით შექმნილი ვითარება. ამიტომ ძალით ქვეყნის დაყოლიება იმაზე, რომ რაიმე ფორმატში მიიღოს მონაწილეობა, მე მგონი, ესეც არ არის მათთვის პერსპექტიული. ამიტომ მგონია, რომ თუ რუსეთს ნამდვილად სურს საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზება, მათ ძალიან კარგად იციან, რა ნაბიჯები უნდა გადადგან აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში.

– სხვათა შორის, არაერთგზის გაჟღერდა რუსი მაღალჩინოსნებისგან, „რუსეთი მზადაა ურთიერთობების ნორმალიზებისთვისო“. არ ვიცი, რა არხებით გაქვთ, თუ გაქვთ, კომუნიკაცია (ამ დროისთვის ორი ოფიციალური ფორმატი გვაქვს: ჟენევის და კარასინი–აბაშიძის) და რაში გამოიხატება ეს მზაობა?

– არ ვიცი. ჩვენ, გარდა ჟენევისა და აბაშიძე-კარასინის ფორმატისა, მათთან ურთიერთობა არ გვაქვს და იცით, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატიც ეკონომიკურ და საავაჭრო საკითხებს მოიცავს. ამიტომ მე ვერ გიპასუხებთ. მათ უნდა ვკითხოთ, რას გულისხმობენ ამაში.

დავითგარეჯი: დანაშაულის მასშტაბი ძალიან დიდია!

(მეხუთე გვერდიდან)

– ფრჩხილების გახსნაში რას გულისხმობთ?

– ფრჩხილები გახსნილი არ არის იმიტომ, რომ ქართული მხარე ეჯახება სხვა სახელმწიფოს ინტერესებს. ანუ, თუ ფრჩხილები გახსნა, მაშინ სხვა სახელმწიფოს უნდა წაუყენოს ბრალდება. თუკი დადგინდა, რომ 2008 წლის ომში საქართველო რუსეთის ინტერესებით მოქმედებდა, მაშინ სააკაშვილთან ერთად დამნაშავე არის რუსეთი. ანალოგიურად, თუკი დადგინდა, რომ დავითგარეჯის საქმეში სააკაშვილი ბაქოს ინტერესებით მოქმედებდა, მაშინ დამნაშავე არის ჩვენი პარტნიორი ქვეყანა აზერბაიჯანი, რა თქმა უნდა, სააკაშვილთან ერთად.

– მთელ ამ ისტორიას რომ გადავხედოთ, როგორ ფიქრობთ, რის სანაცვლოდ ჩაიდინა ეს უმძიმესი დანაშაული საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა?

– ამის გარკვევა ძნელია, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც გარკვევის შემთხვევაში ბრალდება უნდა წაუყენო უკვე აზერბაიჯანს, რადგან სანაცვლოს შემთავაზებელი აზერბაიჯანია.

– გასაგებია, რომ აზერბაიჯანი მოქმედებდა საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს არის მთავარსარდალი, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა მოქმედებდეს?

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ხომ ის პრეზიდენტია, რომელმაც პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო! ვისზე ვლაპარაკობთ – იმ ადამიანზე, რომელიც ყველამ გააფრთხილა: ნუ ჩახვალ საქართველოში, დესტაბილიზაციის წყარო გახდებიო, მაგრამ შემოიპარა. ე.ი. დესტაბილიზაცია უნდა თავისი ქვეყნისთვის. აი, ამ ადამიანზე ვლაპარაკობთ.

– „იმიტომ კი არ ხართ მოსაკლავი, რომ გშიათ, მოსაკლავი იმიტომ ხართ, რომ გაძღომის ფასად სამშობლოს გაყიდვა შეგიძლიათ“, – გიორგი მაზნიაშვილის ეს ფრაზა, ალბათ, კარგად ასახავს უახლეს წარსულს...

– მაზნიაშვილი აქ ამბობს გაძღომის ფასადო. სააკაშვილის შემთხვევაში სხვა მომენტია – პოლიტიკური ხელისუფლების გამყარების, თუ სხვა ქვეყანაში რეიტინგის მოპოვების ნაცვლად ჩაიდინა ეს დანაშაული? – არ ვიცით, რა ფასი იდგა ამ მოვლენების იქით. შიმშილი რომ არ იდგა, ფაქტია. სააკაშვილი ერთ-ერთი შეძლებული ადამიანია, საიდან აქვს ეს თანხები, ესეც ცალკე საუბრის თემაა. დღეს, სააკაშვილი აფინანსებს პოლიტიკურ პარტიებს და ასევე ტელევიზიებს. აღარ ვლაპარაკობ იმ შენაძენებზე, რომელიც აქვს იგივე უკრაინაში. ამ შემთხვევაში შიმშილზე არ არის ლაპარაკი, აქ უარეს ვარიანტს ვიღებთ.

– ილიჩოვა და მელაშვილი არ იყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირები, როგორ ფიქრობთ, შეეძლოთ, დამოუკიდებლად მიეღოთ ეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილება დავითგარეჯთან მიმართებაში?

– თავისი პირით აქვს ნათქვამი სააკაშვილს იმ ციტატით, რაც თქვენ მოიყვანეთ საუბრის დასაწყისში – „მივიღე გადაწყვეტილება სტრატეგიული სიმაღლეები გადავეცი აზერბაიჯანს“. რა თქმა უნდა, ეს იყო პრეზიდენტის პრეროგატივა და ამას ამბობს სააკაშვილი თავის განცხადებაში 2007 წელს და არა იმას, რომ მელაშვილმა და ილიჩოვამ გადასცაო. ამ უმძიმეს საქმეში მათი ფუნქცია იყო ერთი – ეს პროცესი როგორ გაფორმებულიყო საიმისოდ, რომ სააკაშვილის ნათქვამის შედეგი დამდგარიყო.

– მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ჩვენებით, მთავარი მოქმედი პირი იყო სააკაშვილი. ელოდებით, რომ გამოძიება, რომელმაც გაათამამა ყოფილი ხელისუფლება, ბრალს წაუყენებს ყოფილ მაღალჩინოსნებს: სააკაშვილს, მერაბიშვილს და ყველას, ვინც რაღაცა სახით მონაწილეობდა ამ დანაშაულში? ილიჩოვა მუშაობდა შსს-ს სასაზღვრო პოლიციაში, მაშინ მისი უფროსი იყო ეკა გიგაური, თავად გიგაურის ხელმძღვანელი იყო ვანო მერაბიშვილი. მელაშვილი მუშობდა საგარეო საქმეთა სამინისტოროში, მისი ხელმძღვანელი იყო გელა ბეჟუაშვილი...

– ვიმეორებ, სააკაშვილს აქვს ნათქვამი, რომ ტერიტორია მე გადავეციო. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც მაშინ მუშაობდა სისტემაში, დღესაც სამართალდამცავ უწყებაში რჩება, ნაწილი დაწინაურდა კიდეც, ეს ერთი მიზეზია, რატომაც შეიძლება არ გაიხსნას ეს საქმე. არის მეორე მიზეზი – როდესაც ასეთი ადამიანები არსებობენ სისტემაში, წესით, მათი ლუსტრაცია უნდა მოხდეს და დაატოვებინონ სისტემა, მაგრამ თუ ამას არ აკეთებს სახელმწიფო, ე.ი. სახელმწიფო არის დაინტერესებული, რომ საქმე არ გაიხსნას. ამდენად, მიზეზი მარტო ისინი არ არიან, ვინც დანაშაული ჩაიდინა, არამედ – ისინიც, ვინც დანაშაულს ფარავს. დამნაშავის დაფარვაც დანაშაულია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ დანაშაულზე, რომელიც მარტო ქართული არ არის და ეს არის კიდევ ერთი სირთულე ამ საქმეში.

– პატიმრობიდან გირაოთი განთავისუფლებული მელაშვილი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „TV პირველში“ მიიყვანა, იქ შერაცხეს გმირად, მეტიც, გირაოს თანხა გადახდილი იქნა „ნაცმოძრაობის“ ყულაბიდან. მელაშვილი აქტიურად მონაწილეობს „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ღონისძიებებში. ეს ერთგვარი ტრაგედიაც არის, რადგან მოდის თაობა, რომელმაც არ იცის, რა ხდებოდა 9 წლის წინ საქართველოში და ამ დროს ხედავს, რომ ადამიანი, რომელიც სამშობლოს ღალატში არის ბრალდებული, მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკურ ღონისძიებებში. ამით, რა მაგალითს ვაძლევთ თაობას?

– თქვენი გამკვირვებია. რომელ პარტიაზე და პოლიტიკოსებზე ვლაპარაკობთ? სხვა მაგალითი არ გვახსენდება? – პროფესურა რომ ჩარეცხა, ეს რისი მაგალითი იყო თაობისთვის? ბუჩქებისკენ რომ უთითებდა პრეზიდენტი, ეს რისი მაგალითი და ბიძგი იყო ახალგაზრდა თაობისთვის? ქუთაისში დიდების მემორიალი რომ დაანგრია, ეს რისი მაგალითი იყო? სამხედროების დახოცვა და შემდეგ ომგამომვლილი სამხედროების დაპატიმრება, რისი მაგალითი იყო? ძალიან ბევრის ჩამოთვლა შეიძლება. აი, ამ ხალხზე გვაძვს ლაპარაკი – მელაშვილით და ილიჩოვათი რა მაგალითს აძლევენ თაობასო...

– სააკაშვილმა დანაშაული ჩაიდინა და ეს უდავოა, მაგრამ ამ დანაშაულის განვითარების ქრონოლოგია არის საინტერესო. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად ყოფნის დროს იწყება საქმის შესწავლა, ირაკლი ალანიასაც თვისი როლი აქვს შესრულებული ამ საქმის წამოწევაში. მიდის ღარიბაშვილი, მოდის კვირიკაშვილი და საქმე ჩერდება; ბახტაძემ თითქოს დაძრა საქმე, მაგრამ მოდის გახარია და საერთოდ გაყინა საქმე. ობიექტურობა მოითხოვს, გაირკვეს, რა მოდა 2012 წლის შემდეგ ამ საქმის გარშემო და „ქართული ოცნების“ პირობებში ვინ რა როლი შეასრულა.

– აბსოლუტურად სწორად სვამთ საკითხს. მახსენდება გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის გადაწყვეტილება, როდესაც სტრასბურგმა გაოცება გამოხატა იმით, როგორ შეხმატკბილებულად მუშაობდა სისტემა ამ დანაშაულში მონაწილე პირების გასათეთრებლად. მთელ ვერტიკალზე იყო ლაპარაკი. დავითგარეჯის საქმის შემთხვევაში, ეს ვერტიკალი კიდევ უფრო მკაფიო და თვალში საცემია. ერთი ადამიანით არ ჩნდება ეს პრობლემა. პრობლემა ძალიან ბევრ მოქმედ პირზე გადის და ამ ბევრი მოქმედი პირების ხელშეწყობით პრობლემა რჩებოდა პრობლემად.

– გაქვთ მოლოდინი, რომ განურჩევლად პოლიტიკური წარსულისა, ყველა აგებს პასუხს, ეყოფა ამის გამბედაობა საქართველოს პროკურატურას?

– მაქვს მოლოდინი, რომ ეს საქმე მივა ბოლომდე და ყველა ფიგურანტი აგებს პასუხს იმიტომ, რომ დანაშაულის მასშტაბი იყო ძალიან დიდი. საქმის სააშკარაოზე გამოტანაც საკმაოდ მასშტაბური ძალებით მოხდა. ბიძინა ივანიშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის ჩარევით დაიძრა საქმე. მთელ ამ ამბავში მთავარი მოქმედი პირი მამა კირიონია და რომ არა მამაო, ეს საქმე დღის სინათლეს ვერ ნახავდა. ამიტომ მაქვს იმედი, რომ საქმე ბოლომდე მივა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს საქმე მაშინ წამოწიეს, როდესაც იოლი არ იყო ამ თემის წამოწევა. აზერბაიჯანულ მხარესთან არის ბევრი საკითხი გასარკვევი. მეეჭვება უამისოდ რამის გარკვევა მოხდეს. ჩემი სურვილია, რომ ამ საქმეში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტკივილია ყველა ქართველისთვის, ასეთი შავი წერტილები და ლაქები აღარ იყოს.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

დასაქმდებიან ისრაელში

ისრაელში ლეგალურად დასაქმებაზე რეგისტრაცია საქართველოს 1 563-მა მოქალაქემ წარმატებით გაიარა. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, მათგან განხილვის პროცესში ამ ეტაპზე სულ 60 განაცხადია დარჩენილი, რომლებიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. გარდა ისრაელისა, აქტიურად გრძელდება მოლაპარაკებები სხვა პარტნიორებთანაც.

ამჟამად შრომითი მიგრაციის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული და ძალაში შესულია სამ პარტნიორ ქვეყანასთან, კერძოდ, ისრაელის სახელმწიფოსთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საფრანგეთთან.

რაც შეეხება გერმანიას, სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა დასაქმება. როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ შეთანხმების ფარგლებში პირველი ჯგუფი 2021 წლის 14 აპრილს გაემგზავრა და დღემდე საქართველოს სულ 278 მოქალაქე დასაქმდა.

კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრო მეურნეობა

კომპანიამ „აგროგრუპი“ სამაცივრე მეურნეობის შექმნელად 1 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა, საიდანაც 540,000 ლარი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია, 350,000 ლარი – შეღავათიანი აგროკრედიტი.

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყელქცეულში მდებარე სამაცივრე მეურნეობაში, სადაც 500 ტონამდე ხილისა და ბოსტნეულის შენახვაა შესაძლებელი, 6 ადამიანია დასაქმებული. სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონში 56 შემნახველი და სამაცივრო მეურნეობა დაფინანსდა. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მხარდაჭერით, შეიქმნა 15,000 ტონაზე მეტი პროდუქციის შემნახველი ინფრასტრუქტურა, რისთვისაც 34 მილიონი ლარის აგროსესხი იქნა გაცემული. შპს „აგროგრუპის“ ახლადგახსნილი სამაცივრე მეურნეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულ ვალერიან მჭედლიძესთან და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ილია თამარაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ბუნებათანაზიარი



არქეოლოგები მიწის ქვეშ ეძებენ არტფაქტებს, რომელთა მიხედვით აღადგენენ უშორეს წარსულში მცხოვრები ადამიანის ყოფა-ცხოვრებას, ყოველივე იმას, რასაც ყოველდღიურად იჭირვებდა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ, ცხადია, განამარხებული ჭურჭლისა თუ ხელსაწყო-იარაღების მიხედვით ფრიად ძნელია იმ ძველი ადამიანის სულიერების აღდგენა, ანუ გრძნობის, განცდის, სულიერი მღელვარების (სიყვარული, სიხარული, შიში, მრისხანება, ალერსი) გადმოცემა — ეს მხოლოდ სიტყვას შეუძლია, მით უმეტეს, ლირიკოსის პოეტურ სიტყვას, რაც მომდევნო შორეული თაობებისთვის სულიერი არქეოლოგიის საგანი ხდება. ამის უტყუარი დასტურია ქართული ჰიმნოგრაფია და თუნდაც უძველესი ჩინური ლირიკა.

ეს აზრი, ჩემდა უნებურად, თითქოს მიკარნახა წლების მანძილზე თემურ ჩალაბაშვილის ლექსის თვალყურის დევნებამ, რომელ ლექსშიც დაკვირვებული მკითხველი ყოველთვის გრძნობდა პოეტის თანამედროვე ადამიანის სულიერ მღელვარებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ უტყუარი ლირიკოსის გამორჩეულ და იშვიათ ნიჭიერებაზე მეტყველებს. პოეტის თანამედროვე კი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ოცდამეერთე საუკუნის პირველი ოცეულის ქართველია, რომლის სულიც ამ ბოლო ოცდაათი წლის სიგრძეზე არაერთმა სოციალურმა თუ პოლიტიკურმა ქარიშხალმა შეარყია, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართულობა ვერ დააკარგვინა... თუმცა, ბევრი „გამოშიგნა“ და, როგორც იტყვიან „შიგნეული“ გამოუაშკარავა. ჩემი დაკვირვებით, სწორედ ეს არაერთ ქარიშხალგამოვლილი, დაუკარგავი ქართულობაა თემურ ჩალაბაშვილის ლირიკის თავგანკარა ბინული.

ქართული სიტყვის დიდ პაპას საბას თავისი „სიტყვისკონაში“ აქვს მრავალთაგან ერთი საოცარი სიტყვა „დასვინაღრება“, რაც „ზღვათა მოსინჯვას“ ნიშნავს, რათა „ნავი არ შეახეთქონ მეჩეჩთა“. თემურ ჩალაბაშვილისთვის თავისი თანამედროვის სულის მღელვარება დიახაც ზღვაა, მადლიანი კალმის წვერით დასვინაღრებული, და ამ სულიერი მღელვარების ზღვის სიღრმიდან ამოაქვს დროის შესატყვისი ის უჩვეულო, გულში ჩასარჩენი ხიბლი, ურომლისოდაც ლირიკული ლექსი „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

ბევრისგან განსხვავებით, თემურ ჩალაბაშვილი, როგორც იტყვიან, მართლა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს კახურ ღვინოსავით უცხოდ მათრობელა თავის გრძნობამორეულად მთრთოლვარე პოეტურ სიტყვას — მშვიდი, კეთილი, ბუნებათანაზიარი, ჭირში მანუგეშებელი, ლხინში გამამხიარულებელი. ერთი სიტყვით, კაცია კაცური, სახეზე რომც არ იცნობდე, შეხედავ და უმალ მიხვდები, რომ პოეტია, რომელმაც ასე კაცურად, ქართულად გამოიარა თავისი არცთუ იოლი, მაგრამ ლამაზი ცხოვრების ორჯერ ოცდათხუთმეტი გრძელი წელიწადი.

გურამ გოგიაშვილი

თემურ ჩალაბაშვილი - 70

ისეთი თვალნიც დავსილან, ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ...



ამას ჯობია

ისეთი გული რად გინდა,
გქონდეს და არა გტკიოდეს,
ისეთი თვალნიც დავსილან,
ცრემლი არ ჩამოსდიოდეთ.
ისეთი ხმალი რად გინდა,
ქარქაშში არა წიოდეს,
ისეთი შვილი რად გინდა,
მტერთან შეყრა არ შიოდეს,
ისეთი ცხენი რად გინდა,
ლაშქარში არა ხვიოდეს,
ისეთი მეფე რად გინდა,
მხედართ არ მიუყიოდეს.
ისეთი მიწა რად გინდა,
სხვის ხელში გადადიოდეს.
ამას ჯობია, ქართველი
სამზეოს არ დადიოდეს.

არწივები

სინანულის ცრემლში დგანან
ქართლის მთები
და გაზაფხულს ისევ სველი რტოები აქვს,
სამშობლოდან გაფრენილან არწივები
და მაღალი ზეცა მიუტოვებიათ.
იქნებ მათაც ქართლის მთვარე ეცოტავათ,
სამშობლოზე მტანჯველ ფიქრებს
უნდებიან,
ნაადრევად გაფრენილი არწივები,
ნუთუ მართლა აღარ დაგვიბრუნდებიან?!

ვიცი...

ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები,
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.
ვიცი, გამამხელს სადმე ცდუნება,
დრო ჩამემსხვრევა თვალში სიზმრებად,
ქარი წამოვა ვით ერთგულება –
და შენკენ მავალს შემეხიზნება.
თეთრი ქედნები მასხედან მხრებზე,
ვიღაც მაკავებს ცისკრის ძაფებით –
თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ,
მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები.
ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა
და წუთისოფლის ზანტი ეტლები.
ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,
ასე შეშლილან სხვა პოეტები.

მშობლიურ სოფელზე თქმული

მე მინდა შენზე ლექსები ვწერო,
ყოველი სიტყვა დაგეფინოს გულზე
ვარდებად,
რომ დავარხიო ალბათ შენი მაყვლის
კენწერო,
ჩემი ბავშვობა გადმოვარდება...

პოეტის დედას

რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი?
სირცხვილით ვის გსურს, გააგებინო,
რომ შვილს ჩააცვი მგოსნის ხალათი.
შენ ცისფერ ეტლებს მიმეც მსახურად,
მიფრთხობენ სიზმრებს შლეგა ქარები,
მე თავზე ეკლის ჯიღა მახურავს
და შეშლილს მიგავს ხშირად თვალები.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
ჩემგან რა წყენა მოგაგონდება?
ჩემს ტვინში ახლაც ლექსი ნებივრობს
და, იცი, ტანჯვა მიახლოვდება?
რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის.
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის.
რომ ლექსს დავყავარ უმისამართოდ,
ავკრივარ ქალაქს მზერადაღლილი,
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს
და მომკლავს სადღაც ქუჩის ძაღლივით.

რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი,
სირცხვილით ვის გსურს, გააგებინო,
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი.

ჭირისუფალი

შეუფანცქალდა გული პაწიას,
დაეცა მიწას ახალმოთოვლილს.
ატირდა მუხა, ტოტი დასწია
და მიაფარა მკვდარ ჩიტს ფოთოლი...

ქარები

ისინი ქართლის მინდვრებს მოედვნენ
და მტირალ ცისკარს თეთრად ღებავენ,
გადავარწმუნებ მე ჩემს პოეტებს,
ქარებში მარტო ქარს თუ ხედავენ.
ქარები, ძველი ძმადნაფიცები
ვინ იცის, იქნებ წარსულს დარდობენ
და მთებში, როგორც ლეგა კვიცები,
ჩვენი სულებით დანავარდობენ.
ქარებიც ქმნიან იმ გატაცებით,
როგორც დანტე და როგორც გოეთე,
იღუპებიან მერე კაცებად,
მხოლოდ საფლავებს არა სტოვებენ.

ბექრს

შვილმა იმგვარი დამისვა კითხვა,
გული მომიკვდა, სიმართლე გითხრათ.
...ცხოვრება მისთვის ტკბილი ხილია,
პატარაა და არ ეშინია...
მამა, მითხარი, კიდევ ესროდნენ,
დღეს რომ ცოცხალი იყოს ილია?!
...შვილმა იმგვარი დამისვა კითხვა...
...პატარამ ჩემი სათქმელი მითხრა...

1987წ.

სიზმარი - ივანე ჯავახიშვილი

დადუმებული იდგა არმაზთან,
შვენოდა თეთრი მცხეთის კალთები,
მის ფერხთით თითქოს მიწა განაზდა...
როს საქართველოს წარსულს ანთებდა.
უეცრად ტაძრის კარი განიხვნა,
ზარნი შეირხნენ, როგორც მისანნი,
საქართველოდან – საქართველოში
ისმოდენ ხმანი გალობისანი.

ნაკადული

ბედი ჩემი ენატრება ოკეანეს,
ეხარბება შენი სიპატარავე...
გემი არ ჩანს, კაპიტანი იგვიანებს,
მღვრიე ტალღებს სევდა მიაქანავებს,
ქარიშხალი იმეორებს ნაცნობ ბოდვებს,
ცეცხლს აკვესებს ცა უძირო ღამეში,
ოკეანე დილით ითვლის ახალ ცოდვებს,
მკერდს უკაწრავს ქარ-ბორიას თარეში.
შენ კი გქვია პაწაწინა, მშვიდი წყალი,
არც არასდროს გინატრია დიდობა,
შენ არ გტანჯავს: – დამრუნდება კაპიტანი?
შენს ნაპირებს აწერია – მშვიდობა.

* * *

ეპოდრომიდან კვიცები გამოიპარნენ
გვიან ღამით, და ჰაერში ავდრის
სუნი ტრიალებდა.

ღამე აენთო თეთრი კვიცებით, –
როს ციდან ცრემლის გუბე დაგორდა.
ფაფარაყრილნი, ასე მკვირცხლები,
საით გარბოდნენ, რა მოაგონდათ?!
იქნებ ესიზმრათ მთები – ვინ იცის,
წარსული ხილვით გადაიმტვერეს,
ანდა მობეზრდათ მთვარე თბილისის
და ქვაფენილზე ფლოქვებს იმტვრევენ...

ნოემბერი ჩემი თვეა

წლები გადის, ძველებურად
ვეღარა ვარ მხნედა,
ვბერდები და უფრო მეტად
მენატრება დედა.

რა სცოდნია წუთისოფელს –
აღარ გამომხედა,
სიჭაბუკით რომ ვბედავდი,
ახლა ვეღარ ვბედავ.

ნოემბერი ჩემი თვეა.
სევდა დამებედა,
დიდი ხნის წინ, ნოემბერში,
ვუპოვნივარ დედას...

* * *

ვუძღვნი 89 წლის მამას და
6 წლის შვილიშვილს.

წუთისოფელი რა ყოფილა,
მივაგენ, მგონი,
ხანდახან ვფიქრობ,
რომ გასრულდა
გზები სავალი.
ვდგავარ ხანმოყრილ
მამასა და
შვილიშვილს შორის,
როგორც წარსული
და მომავალი...

რომელი უფრო

გაჩენის დღიდან მაწამებს,
კითხვა გულს არ დამეტია,
ტკბილ-მწარე წუთისოფელში
რომელი უფრო მეტია?!

ვეღარ გავიგე

ვეღარ გავიგე ცხოვრების
უბრალო იწილ-ბიწილო,
ან როდის უნდა ვიტირო,
ან როდის უნდა ვიცინო,
ან როდის უნდა ვიცოცხლო,
ან როდის უნდა წავიდე.
უბრალო იწილ-ბიწილო –
ვერ იქნა, ვეღარ გავიგე,
ვერ იქნა, ვეღარ გავიგე,
თუმც კაი ხანი ვიდროვე
და თავი ჩემი საწყალი
მოვკალ და გამოვიგლოვე.

თურქულ-დასავლურ ურთიერთობებს გაუგებრობები ნამვილად არ აკლდა, მაგრამ დაძაბულობამ მათ შორის ახლა უკვე, საყოველთაო ყურადღება მიიქცია. საქმე ის არის, რომ ანკარაში დასავლეთის ათი ქვეყნის საელჩომ ოსმან კავალას გათავისუფლება მოითხოვა. ოსმან კავალა არის ცნობილი თურქი ბიზნესმენი, ფილანტროპი და აქტივისტი, გახმაურებული ფონდის Anadolu Kultur დამფუძნებული. ფონდი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მხარდამჭერ საერთაშორისო პროექტებს ახორციელებს. თურქი და სომეხი ხალხის შერიგებისა და ქურთული საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის იდეაც სწორედ მას ეკუთვნის.

ოსმან კავალა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმულ აქტივისტთა ჯგუფებს აფინანსებდა. ის პატიმრობაშია და, უკვე ოთხი წელია, რაც სასჯელს იხდის. მას 2013-ი წლის საპროტესტო გამოსვლების დაფინანსება და 2016 წლის გადატრიალების ცდაში მონაწილეობა ედება ბრალად. დიპლომატთა ამ ერთობლივი დემარშის გამო, თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯებ ტაიპ ერდოღანმა, თავის საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ ამერიკისა და კიდევ ცხრა დასავლური ქვეყნის ელჩების თურქეთიდან გაძევებას გეგმავდა.

დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები ყოველთვის თავს იკავებდნენ ერდოღანის მიმართ მკვეთრი კომენტარისგან. კრიტიკა მხოლოდ დასავლეთის მასმედიაში ისმოდა. ასეთი სიფრთხილე იმით აიხსნება, რომ, როგორც ჩანს, დასავლეთმა უკვე კარგად შეისწავლა ერდოღანის პოლიტიკური სტილი. ცნობილია, რომ ის არ ერიდება პროვოკაციულ გამოთქმებს, თან, ისეთ სურათს ხატავს ხოლმე, თითქოს, მტრებითაა გარშემორტყმული. ავტორიტეტის გასამაგრებლად თუ სჭირდება ეს!

ერდოღანის ამ მკვეთრმა ნაბიჯმა ცხარე კამათი გამოიწვია თურქეთში. მომხრეები, რა თქმა უნდა, აქებენ და ადიდებენ. ეამაყებათ, რომ მათმა ლიდერმა დასავლეთს წითელ ხაზებზე მიუთითა და გააფრთხილა, ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას არ მოვითმენო. შედეგად, დასვლეთი რთული არჩევანის წინაშე დადგა: ან უნდა მიიღოს გამოწვევა ან მოერიდოს თურქეთთან კონფრონტაციას. ოპოზიციამ ერდოღანის ქცევას სამარცხვინო და დამანგრეველი უწოდა. ათი ელჩის პერსონა-ნონ-გრატად გამოცხადებით თურქეთის ეკონომიკური კრიზისის გადაფარვა უნდაო, ასე განაცხადა ქემალისტური პარტიის ლიდერმა ქილიჩდაროღლუმ. კიდევ კარგი, კრიზისის განმუხტვისთვის, მხარეებმა ოდნავ უკან დაიხიეს. ცხადია, არავის არ აძლევს ხელს ურთიერთობის გაფუჭება. ოსმან კავალას ქომაგმა დასავლეთის საელჩოებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი დიპლომატიური საქმიანობის შესახებ საერთაშორისო კონვენციების ერთგულნი არიან, რომელიც ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობას გულისხმობს.

თურქეთის პრეზიდენტმაც შეარბილა ტონი. თუ ის ადრე აცხადებდა, რომ ზოგიერთი ელჩის პერსონა-ნონ-გრატად გამოცხადების ბრძანება გასცა, მოგვიანებით, უკან დაიხია და თქვა, რომ კრიზისის შექმნა ანკარის მიზანი არაა. ამ განცხადებით, საელჩოებმა გადადგეს ნაბიჯი, რომ თავი შეიკავონ ჩვენი ქვეყნისა და ერის ცილისწამებისგან. მჯერა, რომ ეს ელჩები თურქეთის სუვერენულ უფლებებთან დაკავშირებულ განცხადებებში უფრო ფრთხილად იქნებიანო მომავალში, თქვა ერდოღანმა. ამით, პრეზიდენტმა ინციდენტი ამოწურულად გამოაცხადა, მაგრამ დასავლელი ექსპერტების აზრით, ეს ინციდენტი ასე უკვალოდ არ ჩაივლის. ელჩების გაძევება მსოფლიო დიპლომატიურ პრაქტიკაში ძალიან იშვიათი ამბავია. ამაზე რადიკალური ნაბიჯი მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაა. თუ ელჩი გამოცხადდა არასასურველ პირად, მისი დაბრუნება ყოფილ სამუშაო ადგილზე, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე. ახალი ელჩის დანიშვნა კი, რთული და ხანგრძლივი პროცედურაა. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოებს ურჩევნიათ თავიდან აიცილონ ისეთი დემარშები, რამაც შეიძლება დიპლომატიური ურთიერთობების სამუდამო პარალიზება მოახდინოს. ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების ურთიერთობაშიც კი, ელჩების გაძევება ძალიან მძიმე და იშვიათი ამბავია. ბოლოდროინდელი მოვლენები თურქეთში ცხადყოფს თუ როგორ შეიცვალა ატმოსფერო მსოფლიო პოლიტიკაში. აგერ ახლა, სრულიად შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ნატოს წევრი ქვეყანა ნატოს სხვა წევრი ქვეყნის ელჩის გაძევებას მოინდომებდა.

* * *

პოლიტიკური სკანდალების მეტი რა ყოფილა ჩვენს უცნაურ დროში, მაგრამ ამ ზომისა და ასე მწვავედ დამთავრებული, იშვიათად რომ რამე მომხდარიყო. ერთ დიდ ამერიკულ საარჩევნო სკანდალზეა ლაპარაკი, რომელიც ამერიკელ ხალხს, როგორც გველის ნაკბენი, ისე დაამახსოვრდა. დღესაც ტანში აძაგძაგებთ, როცა იხსენებენ იმ ამბავს. სკანდალმა ამერიკის 36-ე პრეზიდენტის კარიერა იმსხვერპლა 47 წლის წინ. ამ დროს, რიჩარდ ნიქსონი საკმაოდ წარმატებული პრეზიდენტი იყო, განსაკუთრებით, საერთაშორისო სარბიელზე: რუსეთთან ურთიერთობას გეზი უცვალა, ჩინეთი მოალბო ამერიკის მიმართ და ახლო აღმოსავლეთიც დააშოშმინა. მაგრამ მოხდა ისე, რომ თავისი პრეზიდენტობის მეხუთე წელს გადადგომა მოუწია. არ გადადგებოდა და გადააყენებდნენ, ისე წავიდა მაშინ საქმე. ტყუილსა და სამართლის ობსტრუქციაში დაიჭირეს, პოლიტიკური თაღლითის სახელი აჰკიდეს, ისტორიაში ჩაწერეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უარესი ლიდერი და, ბოლოს, გუდა-ნაბადიც აუკრეს. მაშინ, ამერიკაში ვმუშაობდი და არასოდეს არ დამავიწყდება ის თვალცრემლიანი დიდი კაცი, 1974 წლის 9 აგვისტოს ვერტმფრენში რომ ჯდებოდა და სამუდამოდ ემშვიდობებოდა თავის სანუკვარ თეთრ სახლს.

გაძევებული ელჩები, ამერიკული საარჩევნო სკანდალი

ახლა, რამ გამახსენა ეს ისტორია! ჩვენ კიდევ ერთი არჩევნები გადავიტანეთ საქართველოში, და ვიფიქრე, სხვა ქვეყნის საარჩევნო ამბების მოყოლა იქნებოდა უპრიანი ამ დროს. ეს გახლავთ უოტერგეიტის ცნობილი სკანდალი. ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო: 1972 წლის 17 ივნისს ვაშინგტონის პოლიციას ტელეფონით აცნობეს, სასტუმრო უოტერგეიტში საეჭვო ადამიანები დადიანო. მაშინ, იქ დემოკრატიული პარტიის საარჩევნო შტაბი იყო განთავსებული. პოლიციას, წამი რომ არ დაუკარგავს, ისე დააკავა შენობაში ხუთი პირი, რომლებიც დემოკრატთა შტაბ-ბინაში შეღწევას ცდილობდნენ. აქედან, სამი FBI-ის და CIA-ის თანამშრომლები აღმოჩდნენ.

ამერიკაში ხომ იცით, როგორაა, პოლიცია და FBI კი თანამშრომლობენ, მაგრამ მაინცდამაინც არ უყვართ ერთმანეთი. ერთიმეორის ჯიბრი აქვთ რაღაცნაირი. კინოფილმებში გექნებათ ნანახი! FBI გამოძიების ფედერალური სამსახურია. მხოლოდ გამოძიების! ფედერალური ანუ მთელი ქვეყნის, პოლიცია იქ არ არსებობს. ყველაზე მაღალი რანგის პოლიციელი არის საშტატო პოლიციის უფროსი. შინაგან საქმეთა დეპარტამენტი, იგივე სამინისტრო, კი არსებობს, მაგრამ მისი საქმე მხოლოდ ეროვნული ტყე-პარკების მოვლა-პატრონობაა. მათ თავისი საკუთარი პატრული ჰყავთ. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ ადგილობრივმა პოლიციამ FBI-ის და CIA-ის ეს პატივცემული ოპერები დააკავეს, მაგრამ მალევე გაუშვეს შესაბამისი განმარტებების მოსმენის შემდეგ. თითქოს, აქ უნდა ამოწურულიყო ეს ინციდენტი, მაგრამ სწორედ აქ ჩაირთო ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც გაზეთების Washington Post-ისა და New York Times-ის, აგრეთვე, Time-ის ხელში აღმოჩნდა მთლიანად.



ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ვინმეს დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინის გაძარცვა ჭირდებოდა. გახურებული საარჩევნო კამპანია იყო ქვეყანაში. 1972 წელია და რესპუბლიკური პარტია ნიქსონის ხელახალი არჩევისთვის იბრძვის უმწვავესი ორპარტიული დაძაბულობის ფონზე. გამოძიების პროცესში თავი ყველაზე მეტად გაზეთ Washington Post-ის ჟურნალისტებმა ბობ ვუდვორდმა და კარლ ბერნსტეინმა გამოიჩინეს. ორი წლის განმავლობაში იძიებდნენ საქმეს თავგანწირულად. ბოლოს და ბოლოს, დაადგინეს, რომ დემოკრატების შტაბში შეღწევის დაგეგმვასა და მერე ამ ფაქტის მიჩქმალვაში მონაწილეობდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, თეთრი სახლის, იუსტიციის დეპარტამენტის, FBI-სა და CIA-ს მაღალი რანგის ჩინოსნები. მათი პირდაპირი მითითებითა და მეცადინეობით, სასტუმრო უოტერგეიტში განთავსებული დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში უნდა მომხდარიყო მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება და შენობიდან საიდუმლო დოკუმენტაციის გატაცება. ეს ორი თავგადადებული ამერიკელი ჟურნალისტი ოსტატურად იყენებდა ანონიმურ წყაროებს. სკანდალიდან 33 წლის შემდეგ გამომჟღავნდა, რომ ამ საქმეში მთავარი იყო ვინმე უილიამ ფელტი, რომელიც, თურმე, FBI-ის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა იმ დაძაბულ 70-იან წლებში. ბერნსტეინისა და ვუდვორდის ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ უოტერგეიტის საქმე გაცილებით უფრო დიდი პროგრამის ნაწილი იყო, რომელიც ნიქსონის პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 69 ადამიანს წარედგინა ბრალი, მათ შორის 48 ციხეში წავიდა. კონგრესში გამოძიების დამოუკიდებელი კომისია შეიქმნა, რომელმაც დაადგინა, რომ შეთქმულებაში თეთრი სახლის ადმინისტრაცია და პრეზიდენტ ნიქსონის საარჩევნო კამპანიის წევრები მონაწილეობდნენ. ასევე, გამოვლინდა, რომ პრეზიდენტი ნიქსონი თეთრ სახლში გამართულ საუბრებს უკანონოდ იწერდა, რამაც ამ საიდუმლო ოპერაციაში მისი სავალალო მონაწილეობა დაადასტურა.

1974 წელს, როცა თეთრი სახლის ჩანაწერები გამოაშკარავდა, რიჩარდ ნიქსონმა კონგრესში თავისი საკუთარი, ანუ რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერაც დაკარგა. კანონმდებლებმა პრეზიდენტს ყველა საიდუმლო ჩანაწერის გადაცემა მოსთხოვეს. არ შესრულების შემთხვევაში, კონგრესი იწყებდა რიჩარდ ნიქსონის იმპიჩმენტის პროცედურას. იმპიჩმენტის თავიდან ასაცილებლად, ნიქსონი თანამდებობიდან გადადგა. გამოხდა ხანი და იგი მისმა მემკვიდრემ ჯერალდ ფორდმა შეიწყალა, მიუტევა რა ყველა ჩადენილი დანაშაული. მიუხედავად იმისა, რომ ნიქსონი პასუხისგებაში არ მიუციათ, უოტერგეიტის სკანდალმა ამერიკულ პოლიტიკას სამუდამოდ უცვალა ელფერი. ამერიკელები, ზოგადად, ისედაც ეჭვის თვალით უყურებენ პოლიტიკოსებს. ასეთია ტენდენცია! უოტერგეიტის სკანდალის შედეგად კი, ამგვარი განწყობა კიდევ უფრო გამძაფრდა. უოტერგეიტი პოლიტიკური აღვირახსნილობის, საარჩევნო არენაზე დიდი ფულის ტრიალისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ნამდვილ სიმბოლოდ იქცა. ამ ისტორიულ ამბავზე დაიწერა წიგნები, შეიქმნა ფილმები და ამერიკაში დღესაც მწვავეა ამ სკანდალის სასირცხვო განცდა. არის ასეთი ცნობილი ამერიკული ფილმი „All the President's Men" — „პრეზიდენტის მთელი ამალა", რომელმაც 1976 წელს ოსკარი მოიპოვა. ის სწორედ უოტერგეიტის სკანდალს ეძღვნება. ნამვილად სანახავი ფილმია. იმ ორ გმირ ჟურნალისტს ჰოლივუდის მეგავარსკვლავები რობერტ რედფორდი და დასტინ ჰოფმანი ასრულებენ. ერთი სიტყვით, უოტერგეიტის სკანდალი არ იყო, უბრალოდ, ერთი პარტიის გამარჯვება მეორეზე. ეს იყო დემოკრატიული სამართლიანობისა და პრესის ჭეშმარიტი თავისუფლების ზეიმი, რაც ჩვენს ქვეყანაში არც გვიკვირს და არც გვშურს.

ნუგზარ რუხაძე
POSTV.

გერმანია ბელარუსის წინააღმდეგ

გერმანიის მთავრობა ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების ინიციატივით გამოდის..

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰეიკო მაასი ბელარუსის პრეზიდენტს მიგრანტების „უსინდისოდ" გამოყენებაში ადანაშაულებს.

„ლუკაშენკო უნდა მიხვდეს, რომ მისი გათვლები არ მუშაობს. ევროკავშირის დაშანტაჟება არ შეიძლება", — განაცხადა ჰეიკო მაასმა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ევროკავშირი მზადაა, იმოქმედოს იმ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც მიგრანტების გადაყვანაში მონაწილეობს.

„არავის უნდა ჰქონდეს უფლება, დაუსჯელად მიიღოს მონაწილეობა ლუკაშენკოს არაადამიანურ ქმედებებში", — აცხადებს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ლუკაშენკო მოსკოვს რუსეთის იმპერიის აღდგენის მცდელობაში ეხმარება

ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა, მატეუს მორავეცკიმ სეიმში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, პოლონეთი-ბელარუსის საზღვარზე შექმნილი კრიზისის უკან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დგას.

„აუცილებელია ხაზგასმით ითქვას, რომ ჩვენი აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოება უხეშად ირღვევა. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს პირველი ასეთი შემთხვევაა, როცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საზღვრების მთლიანობა გამოცდის წინაშე დგას", — განაცხადა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა.

პოლონეთის პრემიერი რუსეთისა და ბელარუსის ლიდერებს ევროკავშირის დესტაბილიზაციის მცდელობაში ადანაშაულებს. **პოლონეთ-ბელარუსის საზღვართან დაახლოებით 2 000 მიგრანტია თავმოყრილი, რომელიც პოლონეთში შესვლას ცდილობს. სიტუაციის გასაკონტროლებლად პოლონეთმა საზღვრის დაცვა გააძლიერა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საზღვართან 12 000 ჯარისკაცია მობილიზებული.**

ᲛᲬᲐᲠᲔ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲖᲔᲪᲘᲔᲠᲘᲡᲐ

ᲘᲓᲒᲐ ᲒᲐᲒᲐᲜᲘᲐ ᲝᲪᲓᲐᲩᲕᲘᲓᲕᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ.

ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში გამოქვეყნდა მორიგი საბრალდებო მოწოდება, რომელიც ამხელდა და გმობდა ე.წ. „ხალხის მტრებს“, ხოლო მართლმსაჯულებას უსასტიკესი სასჯელის გამოტანას კარნახობდა. ამ განაჩენს ხელს აწერდნენ ცნობილი საბჭოთა მწერლები, ოღონდ მისასალმებელ ერთსულოვნებას არღვევდა ერთადერთი გამონაკლისი, ვისაც ერქვა ბორის პასტერნაკი.

უპრეცედენტო და ერთობ აღმაშფოთებელი ფაქტი, სათანადო დასკვნის თანხლებით, დაუყოვნებლივ მოახსენეს სტალინს, მაგრამ საბჭოთა კავშირის უზენაესმა მბრძანებელმა სუფთა რუსულითა და ქართული აქცენტით დასჭექა: „ნე ტროგაღტე ᲗᲬᲝᲒᲝ ნებოლჟიტელჭ!“ („ხელი არ ახლოთ ამ ზეციერსა!“).

მართალია, სტალინური პრემია არ გაუმეტებიათ პასტერნაკისათვის, მაგრამ ათას პრემიას აღემატებოდა ეს სიტყვაძუნწი ჯილდო ბაგეთაგან თავად ბელადისა, ვინც ნამდვილად იყო პოეზიის ტრფიალი და ეგებ გაახსენდა კიდეც აკაკისეული: მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი — ზეციერსა.

დროებით აღზევებულ სამეფო კარის პერსონებს ამიერიდან კატეგორიულად ეკრძალებოდათ ჩვეული ძალმოსილების გამოვლენა ამ „ზეციერის“ მიმართ, თავის ერთ ლექსში გულუბრყვილოდ რომ წარმოთქვამდა: კაშნეს მოვიხვევ, პირზე ხელისგულს ავიფარებ და ეზოში აყრიამუღებულ გოგო-ბიჭებს ღია სარკმლიდან გავძახებ: ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ქვეყნად რომელი ათასწლეული დგასო?

საუკუნე კი არა, ათასწლეულიო!

ᲰᲝᲓᲐ, როგორ არ უნდა უწოდო დამოწმებული ტექსტის ავტორს ესოდენ იშვიათი ტიტული — „ზეციერი“?!

დიდებულ რუს პოეტს, სტალინის სიცოცხლეში, ხელს, ცხადია, ვერავინ ვეღარ ახლებდა, მაგრამ 1953 წლის წყეული მარტის შემდეგ, სხვა საყოველთაო სიკეთეებსა თუ სიავეებთან ერთად, აღნიშნული „დაცვის სიგელიც“ დავიწყების ზღვაში ჩაიძირა.

... 1958 წლის ოქტომბერში შვედეთის აკადემიამ ნობელის პრემია მხატვრული ლიტერატურის დარგში მიანიჭა ბორის პასტერნაკს.

დაჯილდოებულმა პოეტმა 23 ოქტომბერს შვედეთის აკადემიის მდივანს გაუგზავნა ამგვარი შინაარსის დეპეშა: „უსაზღვროდ მადლობელი და აღელვებული ვარ. ვამაყობ — გაოცებული და დარცხვენილი“.

ამიერიდან პასტერნაკის სახელიც უნდა ჩაწერილიყო იმ სიაში, რომელსაც ამშვენებდნენ რედიარდ კიპლინგი და თომას მანი, კნუტ ჰამსუნი და ივანე ბუნინი, უილიამ ფოლკნერი და უინსტონ ჩერჩილი, ერნესტ ჰემინგუეი და აღბერ კამიუ...

ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ, ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცაა...

ნობელის კომიტეტის ცნობაში აღნიშნული იყო, რომ პასტერნაკს პრემია მიენიჭა „თვალსაჩინო მიღწევებისათვის თანამედროვე ლირიკულ პოეზიაში და დიდებული რუსული პროზის ტრადიციულ ასპარეზზე“.

ამასთან ერთად, ნობელის კომიტეტის მდივნის ლარს გალენსტენის სიტყვით, პასტერნაკი რამდენჯერმე იყო წარდგენილი პრემიაზე ჯერ კიდევ 1946 წლიდან.

მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯილდო დაიმსახურა მწერლის მთელმა შემოქმედებამ და არა რომელიმე ცალკეულმა ნაწარმოებმა. მაგრამ საბჭოთა კავშირში უაპელაციოდ დაასკვნეს, რომ ნობელის პრემია მიიღო 1957 წელს დასავლეთში გამოქვეყნებულმა რომანმა „ექიმი ჟივაგო“, რაც ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მოტივებით.

ცეცხლზე ნავთი დაასხა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა მოქალაქე ბორის პასტერნაკს ნობელის პრემია მიენიჭა საბჭოთა კავშირში დაგმობილი და გამოუქვეყნებელი რომანისათვის.

ეს ინფორმაცია თვალის დახამხამებაში მოახსენეს ნიკიტა ხრუშჩოვს და კიდევ უფრო გააღიზიანეს. დიახაც, დათვური სამსახური გაუწია „ცივი ომის მედროშედ“ წოდებულმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა პასტერნაკს. თუმცა უდალესოდაც, ალბათ, არ აპატიებდნენ ნობელის პრემიას!

პასტერნაკს კატეგორიულად მოსთხოვეს უარის თქმა პრემიაზე. არ დაემორჩილა თხოვნას. მერე დაემუქრნენ. ამანაც არ გასჭრა.

მაშინ კი საბჭითა პრესის ფურცლებზე დაუყოვნებლივ გაჩაღდა მართლაც რომ აღვირახსნილი და ურცხვი კამპანია მსოფლიოში სახელგანთქმული შემოქმედის წინააღმდეგ.

გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატია რადიომ გადასცა და პასტერნაკი, რომელიც დიდი პოპულარობით როდი სარგებლობდა მკითხველთა ფართო წრეებში, ერთბაშად მთელმა ქვეყანამ გაიცნო. მისი სახელი საყოველთაო მითქმა-მოთქმის საგნად გადაიქცა, მასზე და განსაკუთრებით მის ჯილდოზე გაუთავებლად მსჯელობდნენ ტროლეიბუსებსა და საპარიკმახეროებში. ლიტერატურული ინსტიტუტის სტუდენტთა მიკროდემონსტრაციაზე მოჰქონდათ ერთი პლაკატი, სადაც ეხატა პასტერნაკი, მოკრუნჩხული თითებით რომ ეპოტინებოდა დოლარებით გატენილ ტომარას.

27 ოქტომბერს ჩატარდა საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა „პასტერნაკის საქმე“. ბრალდებულიც იყო მიწვეული ამ სხდომაზე, მაგრამ არ გამოცხადდა და თავის კოლეგებს წერილი მისწერა. ამცნობდა: ნობელის პრემიას მივიჩნევ უდიდეს პატივად რუსული ლიტერატურისათვის და ჩემთვისაც, ამიტომ უარს ვერ ვიტყვი, ხოლო ფულად ჯილდოს მშვიდობის ფონდში გადავრიცხავო.

მაგრამ აშკარად გრძნობდა, რითაც დამთავრდებოდა სამსჯავრო და თანამოკალმეთ დიდსულოვნად აუწყებდა: წინასწარ ყველაფერს მოგიტევებთო.

წინათგრძნობამ არ უმტყუნა. „საბჭოთა პოეზიის სინდისად“ წოდებული პასტერნაკი ერთხმად გარიცხეს საბჭოთა მწერალთა კავშირიდან.

ამ სასჯელს, რა თქმა უნდა, არ შეეპუებოდა, მაგრამ მაინც უპოვეს სუსტი წერტილი. სამსახურიდან მოხსნეს ხანდაზმული პოეტის უკანასკნელი სიყვარული — ოლგა ივინსკაია, ბოლო ათწლეულის ლექსთა უპირველესი მუზა...

29 ოქტომბერს პასტერნაკმა საკმაოდ ორაზროვანი დეპეშა გაგზავნა შვედეთში: „იმ მნიშვნელობის გამო, რაც მოიპოვა ჩემთვის მონიჭებულმა ჯილდომ იმ საზოგადოებაში, რომელსაც მივეკუთვნები, იძულებული ვარ უარი ვთქვა დაუმსახურებელ პრემიაზე. გთხოვთ, ნუ გეწყინებათ ჩემი ნებაყოფლობითი უარი“.

მეორე დეპეშა კი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა: „დაუბრუნეთ სამსახური ივინსკაიას, მე უარი ვთქვი პრემიაზე“.

იმავე დღეს შეიტყო თუ არა ხრუშჩოვმა პასტერნაკის უარი? ალბათ, შეიტყობდა. მაგრამ შერისხვის აგორებულ ზვავს ვეღარაფერი შეაჩერებდა.

იმავე 29 ოქტომბერს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ცეკას პირველი მდივანი ვლადიმერ სემიჩასტნი და, სხვა საკითხებთან ერთად, პასტერნაკის საქმესაც შეეხო:

„როგორც რუსული ანდაზა ამბობს, კარგ ფარაშიც გმოერევა ხოლმე ერთი ქეციანი ცხვარი. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ამგვარი ქეციანი ცხვარი გვყავს პასტერნაკის სახით, რომელმაც საზღვარგარეთ გამოაქვეყნა თავისი ცილისმწამებლური, ე.წ. „ნაწარმოები“...

მომხსენებლის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ პასტერნაკისეული პასკვილი, მიმართული სოციალიზმისა და მარქსიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მტრებმა დააჯილდოვეს ნობელის პრემიით.

შემდეგ სემიჩასტნიმ განაგრძო:

„ორმოცდაერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა სოციალისტურ ქვეყანაში, ორმოცდაერთი წლის მანძილზე იკვებებოდა იმ ხალხის პურითა და მარილით, რომელიც ძველის ნანგრევებზე ახალ საზოგადოებას აშენებდა, რომელიც შრომობდა და იბრძოდა. ხოლო ეს კაცი ცხოვრობდა ჩვენს საშუალო მშრომელზე გაცილებით უკეთესად. ახლა კი აიღო და ხალხს პირში შეაფურთხა. რა უნდა ვუწოდოთ ამას? ზოგჯერ ჩვენ, სხვათა შორის, სრულიად დაუმსახურებლად ვლანძღავთ ღორს. ვამბობთ, რომ იგი ასეთი და ისეთია... მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არის ცილისწამება ღორის მისამართით. ყველამ, ვისაც საქმე ჰქონია ამ პირუტყვთან, მშვენივრად იცის, რომ ღორი არასოდეს წაბილწავს იქაურობას, სადაც ჭამს; ღორი არასოდეს წაბილწავს იქაურობას, სადაც სძინავს. ამიტომაც, თუკი პასტერნაკს შევადარებთ ღორს, მე ვიტყოდი, რომ ღორიც კი არ ჩაიდენს იმას, რაც პასტერნაკმა ჩაიდინა“.

მომხსენებლის ბოლო ფრაზას მხურვალე ტაში მოჰყვა.

სემიჩასტნი მოითხოვდა, რომ ამ „შინაურ ემიგრანტს“, სასწრაფოდ დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის ტერიტორია.

როგორც შემდგომში გამოირკვა, აღნიშნულ პლენუმამდე სემიჩასტნი დაუბარებია ხრუშჩოვს. შეხვედრას ესწრებოდნენ ხრუშჩოვის სახელმოხვეჭილი სიძე აჯუბეი და საბჭოთა იდეოლოგიის შეფი სუსლოვი. „შენ ხვალ მოხსენებას აკეთებ?“ — ჰკითხა ხრუშჩოვმა სემიჩასტნის. „დიახ“, — იყო მოკრძალებული პასუხი. „წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ შენს მოხსენებაში პასტერნაკი დაამუშაო?... მოდი, ახლა მე ვილაპარაკებ, მერე კი თქვენ გაუკეთეთ რედაქცია, სუსლოვი გადაათვალიერებს და ხვალ წაიკითხავ“. მიიწვიეს სტენოგრაფისტი ქალი. ხრუშჩოვს უკარნახია ორიოდე გვერდი.

ეჭვიც არ შეგეპარება, რომ სემიჩასტნის მიერ წარმოთქმულ ტექსტში სწორედ ხრუშჩოვს ეკუთვნის უხეში გამოთქმები და, კერძოდ, უტიფარი და უკიდურესად შემაძრწუნებელი პასაჟი — პასტერნაკის შედარება ღორთან (ღორის სასარგებლოდ!).

ვინ იცის, სათუთი სულის ადამიანისთვის, ეგებ, ათასჯერ დახვრეტაც კი სჯობდეს ამგვარ განაჩენს...

კუდიანთა ფერხული კი გრძელდებოდა. 31 ოქტომბერს გაიმართა მოსკოველ მწერალთა საერთო კრება. თოთხმეტი მწერალი ავიდა ტრიბუნაზე და კიდევ თოთხმეტი იყო ჩაწერილი გამოსასვლელად. მაგრამ სამსჯავროს ორგანიზატორებმა საკმარისად მიიჩნიეს იშვიათი ერთსულოვნებით გამოთქმული მსჯავრი და „კამათი“ შეწყვიტეს. აი, რამდენიმე რჩეული ციტატა კრების სტენოგრამიდან:

„შენიღბული მტერი, აღსავსე სიძულვილითა და გაბოროტებით, ორმოცი წელია ცხოვრობდა ჩვენ შორის და ვუწილადებდით პურს... პასტერნაკი ცივი ომის დროშაა! ჩვენ უნდა ვუთხრათ მას, წადი, აიღე შენი ოცდაათი ვერცხლი, შენ აქ არა გვჭირდები... მე არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რომ პასტერნაკი ჩემს მეზობლად იცხოვრებს. არ შეიძლება, რომ იგი მოხვდეს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერაში!... სარეველა ბალახი უნდა ამოვგლიჯოთ!.. ხალხი არ იცნობდა პასტერნაკს, როგორც მწერალს. ხალხმა გაიცნო იგი, როგორც მოღალატე ... მართებული იქნება, თუკი პასტერნაკი წაეთრევა ჩვენი ქვეყნიდან!... პასტერნაკი არის „საბჭოთა მწერლობის ვლასოვი“. გენერალი ვლასოვი კი საბჭოთა სამსჯავრომ დახვრიტა (ხმა ადგილიდან — „ჩამოახრჩო!“).

იმავე წლის 11 ნოემბერს პასტერნაკი სწერდა თავის ბიძაშვილს მ. მარკოვას: „ძალზე მძიმე დრო დამიდგა. ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ ახლა მოვკვდებოდე. მაგრამ მე თვითონ, ეტყობა, თავს ვერ მოვიკლავ“.

თურმე ორი წელი სიცოცხლეც აღარ დარჩენოდა. ინფარქტგადატანილსა და დასნეულებულს, საფიქრებელია, რომ ამ უჩვეულოდ დაძაბულმა დღეებმაც მოუსწრაფა სიცოცხლე.

... კრემლში უკვე გადაწყვეტილი იყო სამშობლოდან გაძევება პასტერნაკისა და ისიც შეეგუა ბედს. სხვა რა გზა ჰქონდა!

მოვლენათა მსვლელობაში მოულოდნელი გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც ჯავაჰარლალ ნერუ სათავეში ჩაუდგა პასტერნაკის დასაცავად შექმნილ საზოგადოებრივ კომიტეტს. ტელეფონით დაურეკა ხრუშჩოვს და გააცნო თავისი თვალსაზრისი.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ანგარიში გაუწიეს.

პასტერნაკი იძულებული გახდა, ხელი მოეწერა მონანიების წერილისათვის ხრუშჩოვის სახელზე.

ასეთი იყო სამშობლოში დარჩენის ფასი.

მოამზადა
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის აღორძინების პროექტი შეიქმნა, რომელსაც, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინა ლომინაძე ჩაუდგება სათავეში. როგორც კულტურის სამინისტროში აღნიშნავენ, პროექტის საჭიროება კულტურის მინისტრის ქუთაისის ოპერის თეატრში მიმდინარე წლის 15 აპრილს განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა, რის შემდეგაც დაიწყო აქტიური მუშაობა არაერთი მიმართულებით.

პროექტი გულისხმობს როგორც თეატრის შენობის სრულ განახლებასა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვას, ასევე, შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას თეატრის ადამიანური რესურსით გაძლიერების მიზნით, მაღალი საშემსრულებლო და შემოქმედებითი დონის უზრუნველყოფასა და ქუთაისის საოპერო თეატრის მსოფლიოს წარმატებული თეატრების რიგში ჩაყენებას.

კულტურის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ პროექტის შემუშავების პროცესში, კულტურის სამინისტროს განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა მომღერალმა თამარ ივერმა.

◎ ტესტების წინ

ფრანგებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ...

საფრანგეთთან **გასამართავი „შემოდგომის ერთა სერიის“ მატჩამდე „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელის — ლევან მაისაშვილისა** **და კაპიტნის — მერაბ შარიძაძის** **პირველმა ონლაინ-პრეს-კონფერენციამ საერთაშორისო მედიის დიდი ყურადღება დაიმსახურა.**

საქართველო საფრანგეთს ბორდოში ესტუმრება და 14 ნოემბერს მსოფლიო თასს მიღმა მასთან პირველ შეხვედრას გამართავს. ის ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება.

სტუმრები საფრანგეთში უკვე ჩავიდნენ და კუურნალისტთა კითხვებს უპასუხეს.

„ნაყოფიერი კვირა გვქონდა და ბევრ ისეთ დეტალზე ვიმუშავეთ, რასაც ერთი კვირის განმავლობაში ვერ ვახერხებდით. სამწუხაროა, რომ თბილისში შეკრების ბოლო დღეს გელა აფრასიძე გამოგვაკლდა. მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და ვერცერთ თამაშში ვერ დაგვეხმარება“, — თქვა **ლევან მაისაშვილმა** და მომავალი მეტოქე საფრანგეთი არგენტინასთან 29:20 გამარჯვების შემდეგ დაახასიათა:

„დიდი ხანია საფრანგეთი ისეთ კარგ კონდიციაში არ ყოფილა, როგორშიც ბოლო წლებია. მას აქვს თავისი ხელწერა, რაც არგენტინასთან თამაშშიც გამოჩნდა. საფრანგეთი თანაბრად ძლიერია როგორც შეჯგუფებებში და ძალისმიერ, ასევე ხელდახელ თამაშში. ჩვენთვის გამოწვევაა დავუპირისპირდეთ მათ სტატიკურ ფაზებში. შევძლებთ თუ ვერა მეტოქის თამაშის დაკეტვას, ეს 14-ში გამოჩნდება“.

მაისაშვილს ტურნეს მეორე, 20 ნოემბერს ესპანეთში ფიჯისთან გასამართავ მატჩზეც ჰკითხეს:

„ამ ეტაპზე მწვრთნელთა და მოთამაშეთა სრული კონცენტრაცია საფრანგეთისკენაა მიმართული, თუმცა, რა თქმა უნდა, მწვრთნელებს ფიჯის შესახებ გარკვეული ყველა ჩვენთაგანისთვის პრინციპულ ხასიათის ატარებს. ფრანგებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ქართული რაგბი საჭირო სიმაღლეზეა და ღირებულია. საფრანგეთში წლების განმავლობაში თამაშობდნენ ქართველები, იქ ჩვენი თანამემამულეები ახლაც არიან და მათ წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. ვეცდებით ხარისხიანი რაგბი ვაჩვენოთ და მოედანი თავაწეულებმა დავტოვოთ.

ძნელია საფრანგეთს რამეში აჯობო, თუნდაც შერკინებაში. ის კარგად დაბალანსებული გუნდია, თუმცა ჩვენი მისია სწორედ ის იქნება, რომ მათ პრობლემა ყველა კომპონენტში შევუქმნათ“.

შარიქაძე, 12 სხვა მოთამაშესთან ერთად, „ბორჯღალოსნებში“ პირველადაა ქართული ფრენჩაიზის, „შავი ლომის“ მოთამაშის სტატუსით, რომელმაც რაგბი ევროპის სუპერთასზე ორი შეხვედრის გამართვა უკვე მოასწრო:

„მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების წევრთა უმეტესობა „შავი ლომის“ ნაწილი არაა, ამ გუნდის არსებობა უკვე ნაკრებსაც დაეტყო. ვარჯიშები უწინდელზე უფრო დალაგებულად დაიწყო, ბევრი რამ წინ გვქონდა წაგდებული და იმედი მაქვს, რომ მომავალში ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება“.

◎ ფიგურული სრიალი

„ოქროები“ და „ბრინჯაო“



ლატვიის **დედაქალაქ რიგაში გაიმართა 44-ე საერთაშორისო ტურნირი „Volvo Open Cup“, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობდნენ ერთეულთა თანრიგის მოციგურავეები: ალინა ურუშაძე (სენიორი ქალები), ირაკლი მაისურაძე, ნიკა ეგაძე (სენიორი მამაკაცები), ანადეა გულბიანი-შმიდტი (იუნიორთა კატეგორია). ტურნირი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქართველ ფიგურისტთათვის — მათი მონაგარი 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალია.**

8 ქვეყნის 12 მოციგურავე ქალს შორის ალინა ურუშაძემ 178,29 ქულით პირველი ადგილი დაიმსახურა. ირაკლი მაისურაძისათვის რიგის ტურნირი ახალი სეზონის პირველი სტარტი, ხოლო ნიკა ეგაძისათვის კი ყაზახეთის „დენის ტენის თასის“ შემდეგ მეორე ოფიციალური შეჯიბრება იყო. 8 ქვეყნის 11 მოციგურავე მამაკაცს შორის ირაკლი მაისურაძემ 227,61 ქულით პირველი, ხოლო ნიკა ეგაძემ 225.60 ქულით მე-3 ადგილი მოიპოვა. იუნიორთა კატეგორიაში მოასპარეზე ანადეა გულბიან-შმიდტმა 14 ქვეყნის 21 მოციგურავე გოგონას შორის 119.75 ქულით ტურნირი საუკეთესო ათეულში მე-8 პოზიციით დაასრულა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ცოტა დააკლდათ

თბილისის „დინამომ“ წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე მეორე შეხვედრა გამართა. დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილი გუნდი ამჯერად სპლიტში „იადრანს“ ესტუმრა.

ხორვატები წყალბურთში ევროგრანდებში რომ გადიან, არახალია, თუმცა ბოლო წლებში „იადრანი“ ტიტულებით ისე ვერ იწონებს თავს, როგორც ათწლეულების წინათ. ეს გუნდი 1991-1993 წლების ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულია.

„დინამოსთან“ მატჩში ფავორიტის სტატუსი მან სამი პერიოდის განმავლობაში გაამართლა — მეოთხე რაუნდის წინ 14:7 დაწინაურდა. შეხვედრის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დინამოელებმა დასკვნით მეოთხედში მეტად ეფექტური თამაშით 6:1 გაქცევა მოაწყვეს და შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მეტოქეს თითქმის დაეწიენ — 13:15.

სიტუაცია დაიძაბა, თუმცა სტუმრებს თამაშის შემოსატრიალებლად დრო აღარ ეყოთ — 15:13 „იადრანის“ სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ ეს იყო ქართული გუნდის მეორე წაგება. პირველ ტურში „დინამო“ ასევე სტუმრად ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ დამარცხდა.

„იადრანი“ (ხორვატეთი) — „დინამო“ (საქართველო) 15:13

გოლები: „იადრანი“: ბურიჩი (1), მარინიჩი (3), ბუკიჩი (1), ხარკოვი (1), დელიჩი (1), დობუდი (3), სეტკა (3), დუზევიჩი (2).

„დინამო“: ტყეშელაშვილი (1), ელაჩა (2), ვასიჩი (4), ბითაძე (1), სარიჩი (3), მაგრაქველიძე (2).

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაზე გუნდები ორ რვაგუნდიან ჯგუფადაა გაყოფილი და ოთხ-ოთხი საუკეთესო ბრძოლას ფინალურ რვეულში განაგრძობს. საყურადღებოა, რომ B ჯგუფიდან გასვლისთვის კლუბებს ტოპ-სამეულში მოხვედრისთვის მოუწევთ ბრძოლა, რადგან ფინალურ ეტაპზე ერთი გუნდი უკვე კვალიფიცირებულია — ეს გახლავთ პლეიოფის მასპინძელი „ნოვი ბელგრადი“.

B ჯგუფში ნოემბრის შეხვედრათა განრიგი:

19 ნოემბერი. „ტელეკომი“ — „ოლიმპიაკოსი“, „„დინამო“ — „ბარსელონეტა“, „რადნიჩკი“ — „ბრეშა“, „იადრანი“ — „ნოვი ბელგრადი“.

30 ნოემბერი. „ოლიმპიაკოსი“ — „ბარსელონეტა“, „დინამო“ — „ბრეშა“, „ტელეკომი“ — „ნოვი ბელგრადი“, „იადრანი“ — „რადნიჩკი“.

◎ ნახევარი საუკუნე

რა უცებ მიილია...

ერთის მხრივ, დახედავ 1971 წლის 12 ნოემბერს ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადაღებულ უკვე ისტორიად ქცეულ ფოტოკადრებს და გული სიამაყით აგევსება კაცს — ასეთ თანავარსკვლავედს ხომ ბევრი საფეხბურთო ქვეყანა ინატრებდა, მაგრამ...

მეორე მხრივ, თვით ფაქტია საწყენი — იმ დღეს ხომ დიდი ფეხბურთიდან განუმეორებელი **სლავა მეტრეველი** გააცილეს.

ნათქვამია — იმედი სულ ბოლოს კვდებაო. იქნებ, ასეცაა, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ, სამწუხაროდ, ძნელი სავარაუდოა, ახლო მომავალში, თუნდაც, თბილისის „დინამოს“ მაშინდელი თაობის ლეგენდათა დონის ტყავის ბურთის ოსტატებმა დაამშვენონ ქართული ფეხბურთი.

თუმცა, ვინ იცის... იმ დღიდან 50 წელი გასულა

შოთა ხინჩაგაშვილი, სლავა მეტრეველი, თეიმურაზ სტეფანია.

სლავამ თავისი მაისური ვლადიმერ გუსაევს გადასცა, კაპიტნის სამკლავური კი — ვახტანგ ჭელიძეს

შავ ზღვაში დაგეგმილ წვრთნებს რუსეთი აკვირდება

შავი ზღვის წვრთნებში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების გარდა, დაგეგმილია ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, თურქეთის და უკრაინის სამხედრო კონტიგენტების გამოყენება, – ამის შესახებ რუსული მედია რუსეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას.

„იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის საზღვაო ძალების გარდა, დაგეგმილია ტაქტიკური, საპატრულო და სტრატეგიული ავიაციის, ასევე ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტიგენტების გამოყენება, სამხედრო ოპერაციების სავარაუდო სცენარის შესწავლა მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ კიევი ამზადებს სამხედრო გადაწყვეტას სამხრეთ-აღმოსავლეთში“, – ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთს უკრაინის საზღვართან ტანკები გადაჰყავს

ძირითადი საბრძოლო ტანკების ბატალიონი განლაგდა მატარებლის სადგურზე ვორონეჟის რეგიონში. ტანკები, სავარაუდოდ, უკრაინიდან 250 კმ-ში მდებარე პოგონოვოს საწვრთნელი პოლიგონისკენ გაემართნენ. ეს იგივე საწვრთნელი მოედანია, სადაც რუსეთმა უკვე გაგზავნა დამატებითი სამხედრო ძალები გაზაფხულზე, რამაც გამოიწვია შეშფოთება ევროპულ საზოგადოებაში.

ერთი კვირის წინ „ჯეინსმა“ გაავრცელა ინფორმაცია რუსული დივიზიის ტანკებისა და თვითმავალი არტილერიის განლაგების შესახებ ბრიანსკის და კურსკის რეგიონებში უკრაინის ჩრდილოეთ საზღვართან. ჯარების საგაზაფხულო განლაგებისგან განსხვავებით, ნოემბერში კონცენტრაცია უფრო დაფარულია, რადგან გადაადგილება ხშირად ღამით და ელიტური სახმელეთო ნაწილების დახმარებით ხდება. უწყების წარმომადგენლების თქმით, ეს ქმედებები არა იმდენად დაშინებას, რამდენადაც აქტიური საფრთხის შექმნას ისახავს მიზნად.

ფრანგული ხომალდები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში

განახლებული დაძაბულობის ფონზე, საფრანგეთმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სამხედრო ხომალდი გაგზავნა. სამხედრო ფრეგატი „ოვერნი“, რომლის ეკიპაჟი 150 ადამიანისგან შედგება, რეგიონში სადაზვერვო ინფორმაციის შესაგროვებლად და თავისუფალი ნავიგაციის მხარდასაჭერად რეგიონში იანვრამდე დარჩება. ფრანგული ხომალდი ლარნაკას პორტში შევიდა. კუნძულს ასევე სტუმრობდა ფრანგული ავიამზიდი „შარლ დე გოლიც“.

კვიპროსსა და საფრანგეთს შორის ბოლო წლების განმავლობაში ურთიერთობები ძლიერდება. კვიპროსის ხელისუფლება ასევე ნებას აძლევს ფრანგულ თვითმფრინავებს, გამოიყენონ სამხედრო ავიაბაზა კუნძულის ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ფრანგულ გემებს უფლებას აძლევს, გამოიყენონ მისი სამხრეთ საზღვაო პორტი, რომელიც ახლა განახლების პროცესშია. ფრანგული ენერგეტიკული კომპანია „ტოტალი“ და მისი იტალიელი პარტნიორი „ენი“ მომავალ წელს სავარაუდოდ კვიპროსის სამხრეთ სანაპიროს წყლებში ოფშორულ ბურღვას განახორციელებენ.

2018 წლის თებერვალში თურქულმა ხომალდებმა ხელი შეუშალა „ენის“ მიერ იჯარით აღებულ საბურღ ხომალდს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის წყლებში საძიებო ბურღვის ჩატარებაში. თურქეთმა გაგზავნა საბურღი ხომალდები სამხედრო ესკორტით მის კონტინენტურ შელფზე ენერგიის გამოსაკვლევად და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას ასევე აქვთ უფლებები რეგიონში.

ბოლო დროს რეგიონში დაძაბულობა კიდევ ერთხელ გაიზარდა განსაკუთრებით საბერძნეთის და კვიპროსის აქტივობების გამო. საბერძნეთის პარლამენტმა გასულ თვეში საფრანგეთთან თავდაცვითი შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა ფრანგული წარმოების სამი ფრეგატის შესაძენად. შეთანხმება თურქეთმა გააკრიტიკა. თურქეთი, რომელსაც ხშირად დაძაბული ურთიერთობა აქვს ნატოელ მეზობელ საბერძნეთთან, შეთანხმებას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ეს საფრთხეს უქმნის „რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას.“

სოსო მანჯავიძე: ამდენმა ერთად შეყრილმა იდიოტმა დაღუპა ეს ქვეყანა!

(მეორე გვერდიდან)

ეს იყო გატაცება, თორემ სააკაშვილი არის სასტუმროში. სუფთა ტანსაცმელი აცვია, სულხანის ამის უფლება არ ჰქონდა. იცით, რომ აკრძალული გვქონდა ტანსაცმლის შეგზავნა. სააკაშვილის ერთი შვილი შორტებით შეგრიალდა, მეორე – პაპკა ამოდებული. სულხანის უთხრეს – სამიდან ერთ-ერთი შვილი აარჩიეო. აი, ეს არის წამება. სააკაშვილთან შვილებიც შედიან, ცოლებიც და საყვარლებიც. ყველა პირობა აქვს შექმნილი. აბა, იმ პირობებში ყოფილიყო, როგორშიც სულხანი, გაძლებდა? ვერ გაძლებდა. სამართლიანია ის, როგორც სააკაშვილს ექცევიან? იმიტომ, რომ ყოფილი პრეზიდენტია? მაგ პრეზიდენტმა საქართველოს რამდენი უბედურება გაუკეთა?! საკუთარი ერი გაწირა! განა რა დაუშავა საკუთარმა ერმა, ასე რომ მოექცა ეს არაკაცი, ეს კაცმაცუნა“, – აღნიშნა **თორნიკე მოლაშვილმა.**

ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ არ ცნობს სახელმწიფო წესრიგს და არსებულ ხელისუფლებას. მისი თქმით, ასე იყო „ნაცმოძრაობის“ ყველა იდეოლოგიური წინაპარი, როგორიც იყვნენ ბოლშევიკები რუსეთში, ფაშისტები გერმანიაში და იტალიაში, კამბოჯაში, ჩინეთში და ყველაგან, სადაც ასეთი ტიპის ძალა ყალიბდებოდა, არ ცნობდნენ არსებულ ხელისუფლებას. არჩევნებს და დემოკრატიულ ხელისუფლებას იყენებდნენ იმისთვის, რომ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და ამისთვის არ ერიდებოდნენ არანაირ საშუალებას.

„რაც შეეხება სააკაშვილის გადაყვანა-გადმოყვნის პროცესს და სააკაშვილის მოთხოვნებს, ეს არ უნდა განვიხილოთ არც პოლიტიკურ ჭრილში, ეს არის წმინდა ფსიქიატრიული მოვლენა, უნდათ და მოითხოვენ, მორჩა და გათავდა. საზოგადოების ის ნაწილი, რომლებიც საერთოდ საღი აზრის გარეშეა დარჩენილი, ამაზე რა უნდა ვილაპარაკოთ, განსაკუთრებით – მეუფე ნიკოლოზი იქნება, მელქისედეკი, თუ ცალკეული მღვდელმსახურები! ტრაგედია ის კი არაა, რომ ნიკოლოზი ასეთ კომენტარებს აკეთებს, ტრაგედია ის არის, რომ ის მიტროპოლიტის ხარისხშია. ტრაგედიაა ის, რომ ჩვენ გვყავს მიშისტი მიტროპოლიტები და მღვდელმსახურები. ეს ადამიანები ერთმანეთში ათავსებენ მიშიზმს და ქრისტიანობას!

ამ კაცმა (მეუფე ნიკოლოზი – რედ.) თავისი უსირცხვილობით ყველას გადააჭარბა. მეცოდება მისი მრევლი და მისი ხელდასხმული მღვდლები. როგორ შეიძლება ეს კაცი მიტროპოლიტი იყოს. ადამიანს სინდისის ნიშანწყალი არ აქვს! სააკაშვილმა თურმე იმარხულა, რადგან თურმე შიმშილობდა, ამიტომ აზიარა და შეადარა ისტორიულ გმირებს. ამ მართლა უწმინდურებმა დიდი ხანია სიტყვა შეაჩვინეს ჩვენს სიწმინდეებს. ეს არის მიზანმიმართული პროცესია. თავიანთი ბინძური ენით, ტვინით და ხელით შეურაცხყოფენ ყველაფერ იმას, რაზეც დგას ქართული იდენტობა. ეს კაცი გასაპარსი და საცემია, პანჩურებით უნდა გააგდო იმ ეკლესიიდან, მე ასეთი შეხედულება მაქვს. დავით აღმაშენებელს ადარებს სააკაშვილს, იმ დავით აღმაშენებელმა მისგვარი ავაზაკები გაპარსა და გამოაგდო ეკლესიებიდან! სულ არ მაინტერესებს ვინ რას იტყვის ამ სიტყვების გამო!“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **სოსო მანჯავიძე** და მიიჩნევს, რომ პოლიტკორექტულობამ დაღუპა საქართველო.

„ამდენმა ერთად შეყრილმა იდიოტმა დაღუპა ეს ქვეყანა. არაფერს ვლაპარაკობ იმაზე, რომ კოლექტიური გუბაზ სანიკიძის მოვლენა გვაქვს საქართველოში. გუბაზ სანიკიძე არის უსირცხვილობის სიმბოლო, რომელიც ჯერ იძახდა, რომ სააკაშვილის სახით ჯალალედინია საქართველოშიო და დღეს ამბობს, რომ დასავლეთის ვარსკვლავიაო! არ იცის, საიდან შეუძვრეს სააკაშვილს! არის ასეთი კოლექტიური სიმბოლოები – კვაჭი კვაჭანტირაძე, ჯაყო, მაგრამ აი, გუბაზმა ყოველგვარი ლიტერატურის გარეშე, საკუთარი თავისგან შექმნა უსირცხვილობის პერსონაჟი, რომელიც საუკუნეებს გაყვება“, – აღნიშნა **სოსო მანჯავიძემ.**

თამთა ქარჩავა

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საფინანსო-ლოჯისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

რენალდ დგებუაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რენალდ დგებუაძე

რენო, ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო, როგორ დაგვწყვიტე გული მთელ შენს სამეგობროს, საძმაკაცოს, საახლობლოს. 9 ნოემბერი თითოეული ჩვენგანისათვის იქნება სამუდამო ჭრილობა... უფალმა დაამკვიდროს შენი სული, სადაც მართალნი განისვენებენ !!!

უახლოესი მეგობრებისაგან

ბრიტანელებმა უპირატესობა „სინოვაკს“, „სინოფარმს“ და ინდურ „კოვაქსინს“ მიანიჭეს

ბრიტანეთმა „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო აღიარებული ვაქცინების სიაში ჩინური „სინოვაკი“ და „სინოფარმი“, ასევე ინდური „კოვაქსინი“ შეიტანა. ახალი ცვლილებები ძალაში 22 ნოემბრიდან შევა, რომლითაც ბრიტანეთში შესვლის მსურველი სრულად აცრილი ადამიანები ისარგებლებენ.

ბრიტანეთის ტრანსპორტის დეპარტამენტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოგზაურობის წესები კიდევ უფრო გამარტივდება, რადგან 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი საზღვარზე განიხილება, როგორც სრულად აცრილი და შეძლებენ ინგლისში შესვლას თვითიზოლაციის გარეშე.

ინფიცირების რეკორდული მაჩვენებელი გერმანიაში!

გერმანიის „რობერტ კოხის ინსტიტუტის“ ინფორმაციით, გასული დღე-ღამის განმავლობაში კორონავირუსული ინფექციისგან გამოწვეული დაავადება 39 676 ადამიანს დაუდასტურდა. პანდემიის დაწყების შემდეგ, საერთო ჯამში გერმანიაში „კოვიდ-19“-ით 4 844 054 ადამიანი დაინფიცირდა, 96 963 ადამიანი კი დაიღუპა.

გერმანიაში შემაკავებელი ზომების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი აქამდე შვიდდღიანი გავრცელების მაჩვენებელი იყო. ახლა უკვე განიხილება სხვა ფაქტორები, მათ შორის ინტენსიური თერაპიის განყოფილებების დაკავება და ვაქცინირებული მოქალაქეების პროცენტული რაოდენობა. გასულ კვირას გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა იენს შპანმა განაცხადა, რომ გერმანია პანდემიის მეოთხე ტალღაშია რაც, მისი თქმით, უპირველეს ყოვლისა, არის „არავაქცინირებულთა პანდემია“.

ვაქცინაციისთვის საჭირო შპრიცების დეფიციტი...

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წელს შესაძლოა COVID 19-ის ვაქცინაციის ჩასატარებლად საჭირო შპრიცების დეფიციტი შეიქმნას, რაც იმუნიზაციის პროცესს საფრთხეს შეუქმნის.

„ჩვენ შეიძლება გვქონდეს აცრისთვის საჭირო შპრიცების გლობალური დეფიციტი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები, როგორიცაა იმუნიზაციის პროცესის შენელება და უსაფრთხოების შესუსტება. დეფიციტმა ასევე შეიძლება გამოიწვიოს რუტინული ვაქცინაციის შეფერხება, განსაკუთრებით ბავშვებისთვის და სხვა ჯანდაცვის სერვისების მიწოდების შენელება, ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს შპრიცებისა და ნემსების სახიფათო ხელახლა გამოყენებას, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში“, – აღნიშნა ჯანმოს ექსპერტმა ლიზა ჰედმანმა გაეროში გამართულ ბრიფინგზე. მისი განმარტებით, მსოფლიოში COVID 19-ის 6,8 მილიარდი ვაქცინაცია ჩატარდა, რაც გეგმური აცრების რაოდენობაზე თითქმის ორჯერ მეტია. ჰედმანის პოზიციით, ეს ნიშნავს, რომ მომავალ წელს გლობალურად შეიძლება ორ მილიარდამდე შპრიცის დეფიციტი შეიქმნას, თუ აცრებისთვის საჭირო ნემსების წარმოებაზე მეტი ქარხანა არ იზრუნებს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲙᲠᲔᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲘ 2004 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ, ᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 90 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 295 ᲥᲐᲚᲐᲥᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔᲓᲘᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ, ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ, ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ, ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲜᲐᲙᲔᲗᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიის ინიციატივით, UNESCO-ში წარდგენილი განაცხადის განხილვის შედეგად, თბილისი იუნესკოს კრეატიული ქალაქების ქსელის (Creative Cities Network) წევრი გახდა.

აღნიშნული სტატუსი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მედიახელოვნების განვითარებასა და ერთჯერადი თუ გრძელვადიანი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

„უკვე რამდენიმე თვეა, რაც თბილისი იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს ატარებს. ამჯერად კი ამავე ორგანიზაციის კიდევ ერთი უდიდესი შემოქმედებითი ქსელის წევრი გავხდით. მომდევნო ოთხი წელი თბილისისთვის უდიდესი გამოწვევების, ინოვაციური ნაბიჯებისა და პასუხისმგებლობის წლები იქნება. ეს ჩვენს თანამედროვე არტისტებს, ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტებსა და მომიჯნავე სფეროების წარმომადგენლებს მსოფლიო მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისა და თბილისის, როგორც ერთგვარი შემოქმედებითი ჰაბის, პოზიციონირების საშუალებას მისცემს“, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲧᲕᲐᲜᲔᲜ

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ელისო ბოლქვაძის ხელშეწყობით, იუნესკოს წარმომადგენლებთან მუშაობის შედეგად, მიღწეულ იქნა, ქალაქ ბათუმის შეყვანა ახალი კრეატიული ქალაქების მსოფლიო ნუსხაში.

„საქართველოს მარგალიტმა, შავი ზღვის კურორტმა, ბათუმმა 49 ახალ წევრს შორის თავი დაიმკვირდრა, როგორც მუსიკალურმა ქალაქმა. იუნესკოს ინიციატივა 246-ზე მეტ ქალაქს აერთიანებს. ამ სიაში ასევე, ფიგურირებენ ქალაქები რომლებიც, სტრატეგიულ ფაქტორად მდგრადი ურბანული განვითარებისთვის შემოქმედებით მხარეს იყენებენ. პროგრამის მთავარი მიზანია ქალაქებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა. მთავარ მიმართულებას, ადგილობრივი შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების განვითარება და წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა წარმოადგენს, რაც მსოფლიო ცნობადობას და საერთაშორისო ტურიზმის სწრაფ განვითარებას ზრდის. ქალაქები ერთად მუშაობენ საერთო მიზნის მისაღწევად“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲨᲘᲜᲓᲔᲑᲐ...

ᲓᲔᲓᲝᲐᲫᲐᲚᲐᲫᲘᲡ მერიის მიერ დაფუძნებული, თბილისის მე-13 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიხსნა, რომელიც 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. ფესტივალი შემოდგომის კულტურული ცხოვრებისა და ფესტივალების ბრწყინვალე კასკადს, როგორც წესი სექტემბერში იწყებს, მაგრამ წელს პანდემიის სირთულეებიდან გამომდინარე, ნოემბერში გადაინაცვლა.

ფესტივალი წელს ორ დიდ მთავარ მოვლენას უმასპინძლებს: ჯეიმს ტიერის წარმოდგენით — „მოს კონცერტი“ და მიხეილ ბარიშნიკოვს მხატვრული ინსტალაცია ფილმით — „არც ერთხელ“. ასევე, ფესტივალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს საგანმანათლებლო მიმართულება წარმოადგენს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ვორქშოფებს და მასტერკლასებს ითვალისწინებს, რომლის თემაც საშემსრულებლო ხელოვნებაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენებაა. ფესტივალის სტუმრები იყვნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიცაა: რობერტ ლეპაჟი, ეიმუნტას ნეკროშიუსი, ჯორჯიო სტრელერი, ჯონ მალკოვიჩი, ასევე, პიპო დელბონო, სილვიუ პურკარეტე, აკრამ ჰანი, კშიშტოფ ვარლიკოვსკი, მაია კლეჩევსკა, ფილიპ ჟანტი, მიხეილ ბარიშნიკოვი, ალვის ჰერმანესი და სხვა. თეატრალურმა ღონისძიებამ მათთან ერთად, უმასპინძლა კომპანიებს, რომლებსაც სწორედ თბილისის ფესტივალმა გაუხსნა ახალი და დიდი გზა საერთაშორისო აღიარებისკენ.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ“ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ“ ფარგლებში, ქალაქ ბოსტონში, დეგუსტაცია-სემინარი „Amber Wine Festival in Boston“ ღვინის პროფესიონალებისთვის, ხოლო ქალაქ ფილადელფიაში, ქართული ღვინის დეგუსტაცია ადგილობრივი დისტრიბუტორების, იმპორტიორების, სარესტორნო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა.

ფორუმის დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენდა კონფერენცია, რომელიც 9 ნოემბერს პენსილვანიის უნივერსიტეტში გაიმართა. კონფერენცია ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას, მეღვინეობის სექტორში პანდემიით შექმნილ ახალ გამოწვევებს, აშშ-ის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია-რეალიზაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს მიეძღვნა.

კონფერენციაზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა საქართველოს ღვინის ინდუსტრიის მიმოხილვა ონლაინ ფორმატში წარადგინა.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲛᲤᲝᲜᲘᲔᲢᲐ“ ᲓᲐ „ᲑᲐᲠᲝᲙᲝᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, თბილისის მერიისა და იტალიის საელჩოს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“ 10 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით რიგით მეშვიდე „თბილისის ბაროკო ფესტივალს“ გამართავს.

ფესტივალში „საქართველოს სიმფონიეტასთან“ ერთად მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, ანსამბლები და ძველებური მუსიკის სპეციალისტები, როგორებიც არიან: საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“, ვინჩენცო კაპეცუტო (მომღერალი (ალტი) და ბალეტის მოცეკვავე, იტალია), ნატალი პერესი (მეცოსოპრანო, საფრანგეთი), გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტი, გიორგი კუზანაშვილი (თეორბო, საქართველო ჰგერმანია), ტრიო 6 Bassifondi (იტალია), სიმონე ვალერიტონდა (თეორბო, ბაროკოს გიტარა, ლუთნა; იტალია), კორნელია ფონ კერსენბროკი (დირიჟორი, გერმანია), საფესტივალო გუნდი არჩილ უშვერიძის ხელმძღვანელობით და სერგეი მალოვი (ვიოლინო, ჩელო და სპალა, ავსტრია).

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის მონაწილე ვარსკვლავები, გარდა კონცერტებისა ძველებური მუსიკის ავთენტიკური შესრულების მიმართულებით მასტერკლასებს ჩაატარებენ. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება 5 საჯარო ლექცია: ქართული და ევროპული მუსიკის, აგრეთვე ბაროკოს პერიოდის თეატრის, ლიტერატურის და მხატვრობის შესახებ.

საფესტივალო კონცერტები 29 ნოემბერს, ასევე 2, 6 და 8 დეკემბერს რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე, ხოლო 13 ნოემბერს „სამეფო უბნის თეატრში“ გაიმართება. ლექციები კი „საქართველოს სიმფონიეტას“ სარეპეტიციო სივრცეში, Sinfonietta Stage-ზე ჩატარდება და მას გაუძღვებიან წამყვანი სპეციალისტები და პროფესორები. საჯარო ლექციებზე დასწრება თავისუფალია. „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა 2015 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დააარსა და მას ყოველწლიურად ბაროკოს მუსიკის მსოფლიოს ვარსკვლავები სტუმრობენ. „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი ძველებური მუსიკის ფესტივალია, სადაც ბაროკოს პერიოდის ინსტრუმენტებით და ავთენტიკური შესრულების მანერით სრულდება ძველებური მუსიკა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1571; ᲔᲕᲠᲝ - 3.6597;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.2918;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4468; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3251;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8577;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6306.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 12 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲐᲛᲗᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+11
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-4,	ᲓᲦᲔ	+10
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+14
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-5,	ᲓᲦᲔ	+14
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+8

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge